საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია № 290 პარასკევი 1918 წ. ივლისის 26

# სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

**ეახიეგში დახვრიტეს შეამბოხეთა მეთაური — გეგეჭკორი და 30 მისი ამხანაგი — გურიაში სიმშილობაა. — სტამბოლის კონფერენციის პირველი სხდომა 24 ივლისისათვის იყო დანიშნული.**


საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„სახალხო საქმე"

**ღირს:** თვით 8 მან., ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 40 კაპ., რკინის გზის სადგურებზე 50 კ., განცხადება: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვ. 50 კაპ., უკანასკნელ გვ. 40 კაპ. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. ხელის მოწერა და განცხადება მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველ დღე დილის 9—3 საათამდე, სასახლის ქუჩა, № 6, ფოსტის ყუთი 190, ტელეფონი 12—29.



გულმოკლული დედა ეფემია ივანეს ასული ციციშვილისა ნინოთი, მარიამ სარდიონის ასული წიკლაურისა ქმარ-შვილით, ვარვარა სარდიონის ასული კოტეტიშვილისა ქმარ-შვილით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ რომ ხვალ შაბათს ივლისის 27-ს ქვაშვეთის ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი მათის ძვირფასი და დაუვიწყარის

ანა (ანეტა) სარდიონის ასული ციციშვილის

სულის მოსახსენებლად. პანაშვიდი დაიწყება 1 საათზე. 786

საქ. ერ. საბჭოს პრეზიდიუმი ამით აუწყებს საბჭოს წევრთ, რომ კვირას ივლისის 28-ს დიდუბის ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცი დღის პანაშვიდი ვერაგულად მოკლულის საბჭოს წევრის

ვლადიმერ გოგერიას

სულის მოსახსენებლად. პანაშვიდი დაიწყება დღის 12 საათზე. 1251

არტისტიულ საზოგადოების საზამთრო თეატრი

პარასკევს ივლისის 26-ს ცენტრალური კომიტეტი ქართველთა სამხედრო კავშირისა მართავს საგანგებოდ მოწვეულ

I

ხევსურთა ფარიკაობას

(კეჭნაობას)

II

ეროვნულ კონცერტს

ნ. პ. სულხანიშვილის და ივ. პ. ხარაჯიშვილის მონაწილეობით ხევსურნი, 50 კაცამდე, აბჯარ ჩაჩქანში ჩამჯდარნი იფარიკავებენ ჯგუფ-ჯგუფად და ცალ-ცალკე.

ბილეთები დღეიდანვე იყიდება 12 ს. 2 ს.—და საღ. 6—8 ს. 783

მეღვინეთა ამხანაგობა „იმერეთი"

იმერული ღვინო

გაიხსნა ღვინის სავაჭრო სარდაფი

„იმერეთი"

მეღვინეთა ამხანაგობის

მიხეილის პროსპ. № 39 (მთავარი ფოსტის კანტორის ახლოს).

ამხანაგობა მიაწოდებს საზოგადოებას საუკეთესო იმერულ ღვინოს ამ დღეებში გაიხსნება აგრეთვე განყოფილებები, სხვა და სხვა უბანში, რაც გამოცხადდება თავის დროზე.

ფასები: № 2—3 მან., № 3—3 მან. 50 კაპ., № 4—4 მან., № 5—5 მან., № 6—6 მან.

765 მთავარი საწყობი ამხანაგობას აქვს ქ. ზესტაფონში.

მეღვინეთა ამხანაგობა „იმერეთი"



დიდი ცირკი

ძმ. ეფიმოვებისა

მიხეილის პრ., მუშტ., ახლო, საკუთ., ახლად შეკეთ. კაპიტალური საზამთრო შენობა, ტელეფ. 18—60.

1918 წ. დღეს, ივლისის 25-ს და ხვალ 26-ს გაიმართება

დიდი წარმოდგენა

მონაწილეობენ სლასტუშინსკი, ძმ. რიგო, ვუდი და მაი, კომო, იამოდასანი და სხ.

782 გამგე პ. ელიზაროვი.


## სარაიონო სასურსათო ორგანიზაციების საყურადღებოდ

პარასკევს ივლისის 26-ს ქალ. საბჭოს დარბაზში გამგ. წევ. დ. პოპოვის თავმჯდომარეობით დანიშნულია სარაიონო სასურსათო ორგანიზაციათა წარმომადგენლების კრება (თვითეულ ორგ. თითო წარმომადგენელი). განსახილველია საუბნო სასურსათო კომიტეტებთან საბჭოს მოწყობის საკითხი და მიმდინარე საქმეები. სარაიონო კომიტეტების პრეზიდიუმები სრულის შემადგენლობით უნდა დაესწრნენ.

დასაწყისი საღ. 7 ს. კრებაზე დასასწრებად საჭიროა მოწმობა.

1252 ქ. ლაქის ვამგეობის სასურსათო განყოფილება

## განცხადება
## თელავის ქალთა წმ. ნინოს სასწავლებლის

საპედაგოგიო საბჭო ამით აცხადებს, რომ პირველ ენკენისთვიდან ამა 1918 წლისა სასწავლებელში თავისუფალია შემდეგი ადგილები: სასწავლებლის უფროსისა (ინსპექტორისა), ქართული ენის მასწავლებლისა უფროს კლასებში (V—VIII კლ.) რუსულისა უფროს კლასებში, ლათინურისა (კარგია ეს ორი საგანი ჰქონდეს ერთმა პირმა), ფრანგულისა, ფიზიკისა და სამ ნებისმეტყველო საგნებისა უმცროს კლასებში, ჯამაგირი ხუმთაღნიშნულ პირთ მიეცემათ ერთნაირად სხვა საშუალო სასწავლებლებთან. თხოვნები უნდა გამოიგზავნოს საპედაგოგიო საბჭოს სახელზე. უკანასკნელი ვადა თხოვნების მიღებისა მარიამობისთვის 20-ს (ახალი წელთ აღრიცხვით). 1240

**იყიდება** რესტორანი, რომელიც ბაღში იმყოფება. ბაღშივე არის მუდმივი თეატრი—მინიატიური. მიხეილის პრ. №193. 783

## ტფილისი, ივლისის 26

**რუსული სიზრმეები.** რუსეთი მისტიციზმის და მესიანიზმის ქვეყანაა. არსად, არც ერთს ქვეყანაში ისეთს ნიადაგს არა ჰპოულობს მესიანიზმი და მისტიციზმი, როგორც რუსეთში. სლავიანოფილებიდან დაწყებული დღევანდელ ბოლშევიზმამდე წითელი ზოლივით გადის ეს დამახასიათებელი თვისება რუსული სულიერი განწყობილებისა. რუსეთმა რაღაც ისეთი უნდა ჩაიდინოს, რის მსგავსიც ჯერ ქვეყანაზე არაფერი მომხდარა, — აი რა მამოძრავებელი ნერვი ამჩნევია თითქმის ყველა რუსულ აზროვნებას. რა თქმა უნდა ესეთი სულიერი განწყობილება ყოველთვის კატასტროფით თავდება, რადგანაც რუსული სიზმრები რუსულ რეალურ სინამდვილეს არ შეეფერება. მესიანიზმით გახურებულ ინტელიგენტურ ტვინში აღარა რჩება იმდენი ადგილი, რომ რუსული სინამდვილე ალიბექდოს და ამ სინამდვილემ სწორი გზა უჩვენოს მოწინავე პოლიტიკურ აზროვნებას. ამიტომ რუსულ პოლიტიკურსა და საზოგადოებრივ აზროვნებას ყოველთვის აკლდა ხოლმე და ეხლაც აკლია უნარი პრაქტიკული შემოქმედებისა.

ყოველნაირი მოძრაობა რუსეთში დოგმატიურსა და ფრაზეოლოგიურს ხასიათს იღებს. შინაარსის ადგილს იჭერს გარეგანი ფორმა, გარეგანი გამოხატულება.

ასე ემართებათ აქაურ რუსებსაც. არაფერს ვიტყვით იმათ შესახებ, რომელთაც პირადი გაბოროტებით ვერავითარი მოვლენის დაფასება ობიექტიურად ვერ შეუძლიანთ, მათი გველური სისინი და რუსთა კავშირის „საჩაიებში" შეთვისებული ჟარგონი სრულს საბუთს გვაძლევს იმისას, რომ არავითარი ყურადღება არ მივაქციოთ. მაგრამ არიან ისეთებიც, რომელთაც გულწრფელად ჰსურთ ალლო აუღონ ყველაფერს იმას, რაც მათს გარშემო ჰხდება, მაგრამ ვერ მოუხერხებიათ. ვერ მოუხერხებიათ ისეთებსაც კი, რომელნიც რეალური პოლიტიკის მოტრფიალენი არიან და ყველაფერი რევოლიუციონური და სოციალისტური ბავშვურ ექსპერიმენტებად მიაჩნიათ. ასეთს ხალხსაც კი ეკარგება უნარი ჩვენი სინამდვილის ობიექტიური შეფასებისა და ჩვენი მთავრობის მიერ გადადგმული ყოველი **პრაქტიკული** ნაბიჯი უცნაურად ეხამუშება.

სახელმწიფოს თავისი ლოღიკა აქვს: საამშენებლო სახელმწიფოებრივი მუშაობა, თუნდაც იგი უკიდურესად დემოკრატიული და რესპუბლიკანური იყოს, მოითხოვს მრავალ ისეთს დაწესებულებათა მოწყობას, რომელნიც დოგმატიურად აღზრდილ რუსულ აზროვნებას ვერ მოუნელებია. სახელმწიფო იძულებითი ორგანიზაციაა. დემოკრატიულ რესპუბლიკასაც დაცვა უნდა მტრებისაგან და მთავრობა ვალდებულია ყოველნაირი იძულებითი ორგანიზაცია მოაწყოს საქართველოს დამოუკიდებლობისა და მისი დემოკრატიული წესწყობილების დასაცავად.

საქართველოს მთავრობა სწორედ ასეთს პრაქტიკულ საქმიანობის ნიადაგზე სდგას და ვიმედოვნებთ, რომ რუსის მეოცნებე ინტელიგენტების წუწუნი მთავრობას ერთხელ არჩეულ გზას ვერ შეაცვლევინებს.

## მთავრობაში

**რუსთა ერ. საბჭო** მთავრობას შეეკითხა: როგორი განკარგულებაა გამყოფელ კომისიისაგან გამოცემული რუსთა და ქართველ ეკლესიების და მათ ქონების შესახებო, არის თუ არა გამოცემული განკარგულება რომ რუსული სემინარია საკათალიკოსო წარმომადგენელის ნატროევის გამგეობაში გადავიდეს.

მთავრობამ ნება მისცა შინაგან საქმეთა სამინისტროს, სპეკულიაციასთან საბრძოლველად გადადებულ 2 მილიონ მან. ფონდიდან გამოიტანოს, ანარქიასა და სპეკულიაციასთან საბრძოლველად განსაკუთრებულ რაზმისათვის საჭირო თანხა.

საქონლის გამცვლელი კომიტეტში ტფილისის ბანკების კომიტეტებისაგან წარმომადგენლებად: ა. გ. ჯაბადარი, ი. მ. ლორთქიფანიძე და მარგველაშვილი, გზათა სამინისტროსაგან ა. ა. ტოლსტონოგოვი, მიწათმოქმედების სამინისტროსაგან ლ. ასათიანი.

ფინანსთა სამინისტროსთან შემდგარ თათბირზე დადგენილ იქმნა საგერბო ნიშნები, სააქტო ქაღალდების, ბანდეროლის და ბანქოს ქაღალდის ბეჭდვა ბონების მბეჭდავ ექსპედიციას გადაეცეს.

## უკანასკნელი ცნობები.

### ლეჩხუმი.

ლეჩხუმიდან პოლკ. ინწკირველი დეპეშით იტყობინება: ივლისის 24-ს ავიღეთ სოფ. ნამახვანი, მოწინაალმდეგე გამაგრებულია ნამახვანიდან ჩრდილოეთ-დასავლეთით.

### გურია.

**ოზურგეთი.** ივლისის 24-ს საქართველოს ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარეს დეპეშით აცყობინებენ: „სიმშილობის ნიადაგზე ლიხაურის საზოგადოებაში მდგომარეობა სერიოზული და კრიტიკულია. შესაძლებელია ექსცესები მოხდეს. გთხოვთ სასწრაფო ზომები მიიღოთ".

სურსათის სამინისტროს მრავალი დეპეშა მოსდის გურიის სხვა და სხვა ადგილიდან, რომ გურიაში სიმშილობა სერიოზულ ხასიათს ღებულობს. იყო შემთხვევები სიმშილიდან სიკვდილისა. სამინისტრო ზომებს ღებულობს, რომ ცოტა მაინც გაუგზავნოს პური გურიას. განზრახულია პური ადერბეიჯანიდან გამოიტანონ და მის ნაცვლად სხვა ადერბეიჯნისათვის საჭირო სურსათი გაგზავნონ.

### ყაზბეგის მიმართულებით.

**ფასანაური.** ივლისის 22-ს საქართველოს რესპუბლიკის ჯარს ხელში ჩაუვარდა უამრავი სურსათი: შაქარი, ჩაი, კაკაო, ქერი, გალეტი და სხვა, რაც დასტოვეს დამარცხებულმა ბოლშევიკებმა.

მრავალი ლტოლვილი 300 ფურგუნით კავკავის გზაზეა და ჩრდილოეთით მიემგზავრება ლარსსა და კავკავს შუა ბრძოლა არ არის, მაგრამ არც მიმოსვლაა ჯერ-ხანობით. ლარსამდე გზა თავისუფალია.

## საქართველოს მთავრობის გაზეთი

გუშინ გამოვიდა პირველი ნომერი საქართველოს მთავრობის ოფიციალური გაზეთისა „საქართველოს რესპუბლიკის" სახელით. გაზეთში ორი განყოფილებაა — ოფიციალური და არა ოფიციალური. ოფიციალურ ნაწილში მოთავსებულია ჩვეულებრივი სავალდებულო განცხადებანი და დღემდის გამოსული ყველა კანონი და ეროვნულ საბჭოს რეგლამენტი არა ოფიციალურ ნაწილში მოთავსებულია მეთაური წერილები სხვა და სხვა საკითხზე და მიმდინარე მასალა, ქრონიკა ჩვენი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრებიდან.

ოფიციალურ ნაწილში მოთავსებულია აგრეთვე მთავრობისა და კერძო მინისტრების ბრძანებანი და განკარგულებანი.

პირველ ნომერში რვა გვერდია, გარეგნულად კარგად და სუფთად არის დაბეჭდილი და საზოგადოდ კარგს შთაბეჭდილებასა სტოვებს. გაზეთი საქართველოს მთავრობის სტამბაში იბეჭდება.

## პარლამენტის გარშემო

**ქუთაისი.** 7—24. საქართველოს ეროვნულ საბჭოს ქუთაისიდან შემდეგი დეპეშა მოუვიდა: „დასავლეთ საქართველოს ექიმთა პროფესიულ კავშირის საზოგადო კრება გულწრფელ სალამს უთვლის საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას. ვიმედოვნებთ, რომ ქართველი ერის ცხოვრება უკეთეს საფუძველზე მოეწყობა. კრება მოვალედ სთვლის თავს ყოველგვარი დახმარება გაუწიოს ნორჩ რესპუბლიკას და მისი დამოუკიდებლობის განმტკიცებას.

საბჭოს წევრმა ექ. დ. ჯავახიშვილმა (ნ.-დ.) წევრობაზე უარი სთქვა, მის ნაცვლად ერ. საბჭოს წევრად ჰირჩიეს ალ. ასათიანი (ნ.-დ.)

## უცხოეთი

### ხოლერა რუსეთში.

რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის სხვა და სხვა ქალაქში ხოლერა მძვინვარებს. არხანგელსკში, მაგ., ყოველ დღე ავად ხდება ხოლერით 25 კაცი, სარატოვში 100 კაცზე მეტი.

### რუსეთი და იაპონია

იაპონიის კონსულმა მოსკოვში განუცხადა გარეშე საქმეთა კომისარს, რომ იაპონიას არავითარი საბუთი არა აქვს და არც სასარგებლოდ მიაჩნია თავისთვის—რუსეთის შინაურ საქმეებში ჩარიოს.

### ინგლისის ჰაეროპლანები.

**კოპენჰაგენი.** ივლისის 20 ინგლისის 3 ჰაეროპლანმა ვესტერ-ვედშტატის ჩრდილო-დასავლეთით გადაიფრინა, ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით. ცოტა ხნის შემდეგ ჰაეროპლანები გულდაგენსა და სკარლინგთან დაეშვა და დიდად დაზიანდა

### არეულობა თურქისტანში.

**ტაშკენტი.** 7—24. მოსკოვი, ტროცკის, ასლი ბონჩ-ბრუევიჩს. „რევოლიუცია ხელმეორედ უფსკრულის პირასაა. გთხოვთ მომაწოდოთ საომარი მასალა, რომელიც ორენბურგისა და სხვა მრავალ ფრონტისათვის არის საჭირო. სემიპალატინსკში, მაგ., ჩეხ-სლოვაკები აჯანყდნენ, ფერგანისა და იმიერ-კასპიის ოლქებში თეთრი რაზმელებია. მოწყვეტილი ვართ მთელ მსოფლიოს და ვერავის ვერაფრით ვატყობინებთ ჩვენს არსებობაზე. მთელ იმედს თქვენზე ვამყარებთ. მიეცით განკარგულება ვისიც ჯერ არს, განსაკუთრებით ბაქოს. მომენტის ლოზუნგია — სამხაზიანი ტყვიაწამალი".

კოლესოვი.

### რუმინიაში.

**ბუქურეშტი.** 7—23. ოფიციალურმა ორგანომ იასაში საბუთები გამოაქვეყნა, რომლიდანაც მტკიცდება, რომ ბრატიანუსა და მისი მოკავშირეების წყალობით მთავრობამ ომი გამოაცხადა. ბრატიანუსა და მის დამქაშებს არავითარი უფლება არა ჰქონდათ ომი გამოეცხადებინათო. რუმინიის კონსტიტუციის თანახმად არც მეფეს, არც მთავრობას უფლება არა აქვთ ომი გამოაცხადონ და შესწყვიტონო. ამის უფლება მხოლოდ ხალხსა აქვს თავის წარმომადგენლების პარლამენტის სახით.

## ომის დეპეშები

**ბერლინი.** 7—23. საღამოს ცნობა. ავრის ჩრდილო ნაპირით ადგილობრივი ბრძოლა სწარმოებს. სუასონსა და რეიმსს შუა გერმანელ კრონპრინცის ლაშქარმა მოიგერია მტრის ძლიერი იერიშები.

რადგან გუშინ ღამით ტფილისის რადიო-სადგურზე მუშაობა მეტად გაძნელდა ცუდი ამინდის გამო და რადიოდეპეშების წაკითხვა ვერ მოასწრეს, ამის გამო ომის და სხვა დეპეშები დღეს არ იქნება.

## ახალი ამბავი

**შავი-ქვის მრეწველობის გარშემო.** მუშებსა და მრეწველებს შორის ერთი თვეა რაც მოლაპარაკება სწარმოებს და თითქოს შეთანხმებაც მოხდა, მაგრამ მოულოდნელად მოლაპარაკება შესწყდა, რადგან მრეწველებმა უარი სთქვეს ხელშეკრულების ზოგიერთ მუხლზე. ამის გამო კომისიის თავმჯდომარე ტფილისს მოემგზავრება

**პური.** ტფილისში უკვე მოდის თან და თან სიმინდი, რომელიც ყაზბეგისა და კავკავიდან იყო საქართველოსთვის გამოგზავნილი, ხოლო არეულობის გამო გზაში დააკავეს.

**ერ. ფონდი.** მიტო ცინციბაძემ შემოსწირა: თერთმეტი მანეთი და 90 კ. ვერცხლის ფული, 38 კ სპილენძისა და სამი მედალი სპილენძის და ორიც თათრული ფული.

**ხევსურთა ფარიკაობა.** დღეს, ივლისის 26-ს, არტისტიული საზ. საზამთრო თეატრში ნ. სულხანიშვილის ლოტბარობით და ი სარაჯიშვილის მონაწილეობით გაიმართება ხევსურთა ფარიკაობა (კეჩნაობა).

**მემედ-ბეგ აბაშიძის გამოქცევა** გუშინ, ივლისის 25-ს დილით ტფილისს ჩამოვიდა ცნობილი ქართველი მაჰმადიანი მოღვაწე და მწერალი მემედ-ბეგ აბაშიძე. როგორც მკითხველებს ეცოდინებათ, იგი და ოთხი კიდევ სხვა მაჰმადიანი ქართველები ოსმალოებმა დააპატიმრეს ამას წინად: ქართველებთან ერთად მოქმედებთო და სახელმწიფოებრივი ღალატი დასწამეს. მემედი ყოფილა ტრაპიზონის საპყრობილეში ჰასან ეფენდი ლორთქიფანიძესა, სულეიმან-ბეგ ქეანიძესა, ჯემალი ჰიჭავასა და მუდეისი სიბლაძესთან ერთად. ივლისის 2-ს იგი ციხიდან გამოქცეულა თოკის საშუალებით, რისგანაც ხელები სულ გაფუჭებული აქვს. დიდი ვაივაგლახის და გაჭირვების შემდეგ მემედი სამშვიდობოში გამოსულა. იგი გუშინ დილითვე ჩვენს რედაქციაში იყო და დაადასტურა, რომ აჭარლები დიდი უკმაყოფილონი არიან ოსმალოებისაო.

**სახელმწიფოს მოსამსახურეთა კავშირმა** მთავრობის წინაშე შუამდგომლობა აღძრა მოსამსახურეებს მისცენ, რომელიც სააღდგომოდ უნდა მიეცათ.

**კავკასიის მთიულთა კავშირის რესპუბლიკამ** საქართველოს მთავრობას თხოვნით მიმართა: 31 ათასი მანეთი მისცენ, რაც დაპირებული ჰქონდათ ადგილობრივ ცხენოსანთა კორპუსის საჭიროებისათვის.

**უკრაინელთა კომისარიატმა** განკარგულება გამოსცა: ვინც კომისარიატში რაიმე საქმისთვის მოდის უკრაინის სახელმწიფო ენაზე უნდა ილაპარაკოს, ვინც ენა არ იცის, თარჯიმანის დახმარებითო.

**ქურდობა.** ღამით ივლისის 27-ს, გერმანულ ბატალიონის კანცელარიიდან გაიტანეს ყუთი, რომელშიაც 56 ათასი მანეთ იყო; მილიციელებმა გამოარკვიეს რომ ქურდები იყვნენ ს. გოგია, ტ ჩიჩიბაია, დ. ჯაბაშვილი ყუთი იპოვეს და ქურდები შეიპყრეს.

**სტამბოლის კონფერენცია.** საქართველოს მთავრობასთან მყოფ სომხის მისიას სომხის დელეგაციის თავმჯდომარის ავ. აგარანიანისაგან ცნობა მოუვიდა, რომ პირველი სხდომა კონფერენციისა ივლისის 24-თვის იყო დანიშნული. მანამდე კი სომხის დელეგაციამ აღძრა საკითხი ლტოლვილების დაბრუნების შესახებ. ამ საკითხის განსახილველად უკვე ჰქონდათ თათბირი ოსმალოს დელეგაციის წარმომადგენლებთან.

**ამხ. კოწია გამსახურდია** მიემგზავრება ბერლინს. იგი ინიშნება ჩვენი გაზეთის კორესპონდენტად ბერლინში. ამიერიდან ჩვენს გაზეთში იქნება საგანგებოდ შედგენილი გერმანული ქრონიკა და პრესა. ამხ. გამსახურდიას დავალებული აქვს განათლების სამინისტროდან, შეისწავლოს გერმ. საშუალო სასწავლებლის წყობილება და ამის შესახებ მოხსენება წარუდგინოს განათლების სამინისტროს.

**ახალი რაზმი.** ჩოხატაურში ვასილ შარაშიძის მეთაურობით შესდგა განსაკუთრებული რაზმი. მათი მოვალეობაა ჩოხატაურის რაიონში იარაღის აყრა. რაზმი შეუდგა მუშაობას, რამდენიმე ადგილს უკვე აჰყარა იარაღი. უმეტესობას თავისით მოაქვს იარაღი და მთავრობას აბარებს. წინააღმდეგობა არავის გაუწევია.

**დახვრეტა.** ქუთაისის გაზეთის „სოც.-დემ". ცნობით ყაზბეგში სამხედრო საველე სასამართლოს დადგენილებით დაუხვრეტიათ საშა გეგეჭკორი და 30 მისი ამხანაგი.

**გემების გამგზავრება ფოთიდან.** ივლისის 22-ს საღ. 5 ს. ფოთიდან გერმანიის გემი „გენერალი" გავიდა სევასტოპოლისაკენ და 3000-ზე მეტი მგზავრი წაიყვანა. ფოთშივე სდგას გერმანიის მეორე გემი „კერკვადო", რომელიც ოდესიდან მოვიდა.

**ხოლერა.** ქალ. საავადმყოფოში მოიყვანეს 4 ხოლერიანი და 11 საეჭვო ავადმყოფი. გარდაიცვალა გუშინ წინ 15 ავადმყოფი. ივლისის 24 ს იყო სულ 176 ხოლერიანი და 25 საეჭვო ავადმყოფი.

### ფოსტა-ტელეგრაფის მთავ რ კომიტეტის საყურადღებოდ

მას შემდეგ რაც ჩვენი სიგლახით ოსმალეთმა ჩამოჰგლიჯა საქართველოს მშვენიერი გაბრწყინვებული ბათომი—დიდებული მესხეთი და არტან-ყარსი—საქართველოს ისედაც პატარა ტერიტორია უფრო დაპატარავდა. ქსელი რკინის გზის შტოებისა ტელეგრაფის მავთულის და მიმოსვლა ფოსტისა ერთი ათად შემოკლდა. საქართველოს 600 ვერსთან სიგძე-სიფართეზე ძალიან იკლო ფოსტის კორესპონდენციის გაცვლა-გამოცვლამ.

რუსეთში არაფერი იგზავნება( ჩვენ ტერიტორიაზე კი უმეტესად ნაცნობმეგობრების საშუალებით იგზავნება ყოველივე ფოსტით გასაგზავნი, ასე რომ გარდა მცირეოდე დეპეშებისა სხვა რამ (ამანათები, შეკვეთილი წერილები, ფული და სხვ.) თითქმის სულ მოსპობილია. ფოსტა-ტელეგრაფის მოხელენი უსაქმურად არიან. ზოგი მათგანი გაბალშევიკებული ავაზაკთა ბრბოებში იღებენ მონაწილეობას (ა. გეგეჭკორი და სხვ.) აქ მთავრობისაგან ღებულობენ ჯამაგირებს და იმავე დროს, უმადურნი, იარაღით ხელში ებრძვიან სამავე მთავრობას!

რუსის მოხელენი კიდევ უსაქმურობით ჭორიკანობის მეტს არას აკეთებენ... სხედან მთელი დღე და სთხზავენ ათასნაირ ჭორებს, უმთავრესად ჩვენი ნორჩი რესპუბლიკის წინააღმდეგ მას „კუკურუზნია რესპუბლიკას" უწოდებენ და ათასნაირ პროვოკაციას ეწევიან.

ასეთი მდგომარეობა სუფევს აგერ მეოთხე თვეა და ამას ყურადღებას არავინ აქცევს!.. მუქთახორა მოხელენი მხოლოდ ოცში გამოცხადებიან ხოლმე ჯამაგირის მისაღებად და ერთ ამბავს აყენებენ უფროსებს ჯამაგირის თავის დროზედ მიუღებლობაზე... „დრო ფულიაო" ნათქვამია—მით უმეტესად ამ მოხელეთა მიმართ ითქმის. რამდენადაც მეტი დრო გადის იმდენად მეტი ტვირთად და ბარგად აწვება ჩვენ რესპუბლიკას მათი შენახვა. სადაც მსახურობდა 20 მოხელე იქ დღეს სრულებით საკმარისია ხუთი, სადაც—30 იქ 10 სადაც 40 იქ 15 და ასე ქვეით. დანარჩენი მოხელენი დაუყოვნებლივ უნდა იყვნენ დათხოვნილნი. რკინის გზის მმართველობამ ამ შემთხვევაში გაბედული ნაბიჯი გადასდგა და თავის დროზე დაითხოვა ზედმეტი მოხელენი. ასევე გაბედულად უნდა მოიქცეს ფოსტა-ტელეგრაფის უწყება თუ გვინდა კეთილ დღეობა და ეკონომია ჩვენი ნორჩი რესპუბლიკისა. არავითარ პირად წყენას არ უნდა მოერიდოს ამ შემთხვევაში ჩვენი მთავრობა და რაც შეიძლება მალე უნდა მოაშოროს ზედმეტი ტვირთი ჩვენ ხაზინას.

ჩვენის აზრით 1916 წლიდან დღევანდლამდე ყველანი უნდა დაითხოვონ. რა თქმა უნდა ამ ნაბიჯს დიდი მითქმამოთქმა და საყვედურები მოჰყვება. მაგრამ ნუ დაივიწყებენ ამხანაგი მოხელენი, რომ აქამდე მხოლოდ ჩვენი უწყება შეადგენდა ერთ უდიდეს წყაროს სახელმწიფოს შემოსავლისას დღეს კი...

დღეს—კი უდიდესი ზარალი მოაქვს.. ამიტომ ამხანაგები სრული სიდინჯით უნდა შეხვდნენ ამ ამბავს და ნურც იმას დაივიწყებენ, რომ ფოსტა-ტელეგრაფის უწყება რამე საქველიოქმედო თავ-შესაფარი არ არის. „ჭირში გატეხა არ ვარგა თუ კაცი გონიერია, წავა და ყველგან დარჩება სოფელი ღონიერია"...

ფ.-ტელ. მოხელე **ტრ. ინასარიძე.**

## საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიაში

**ტფილისის კომიტეტის წევრთა კრება დანიშნულია შაბათს 27 ივლისს საღამოს ხრულ 7 საათ. ამ წევრებს ვთხოვთ კრებაზედ ნუ დააკლდებიან.**

დღეს, პარასკევს ივლისის 26, ნაძალადევში ეკლესიის ეზოში დანიშნულია არა ჩვეულებრივი პარტიული კრება. მოხსენებებს წაიკითხავენ ამხ-ბი ქრისტ. რაჭველიშვილი და ვახტანგ კოტეტიშვილი, დასაწყისი საღ. 7 საათზე. არ დაიგვიანოთ

შაბათს, ივლისის 27 პარტიულ კლუბის დარბაზში დანიშნულია მუშათა კავშირის კრება. განსახილველია ფრიად მნიშვნელოვანი საკითხები. კრების დასაწყისი საღ. 7 ს. (ახ. დროით) ამხანაგებს ვთხოვთ ნუ დაიგვიანებენ.

## მიწის რეფორმა

ლაგოდეხის რაიონის გაღმა ალაზნის მხარეში მემამულე ვაჩნაძეების, აფხაზების და მათი მონაწილეების მამულების მიღებას შეუდგებით ამ წლის 1—10 აგვისტოდან, რაზედაც უკვე ყველას უწყებები დაეგზავნ.

შეიძლება, უწყებები თავის დროზედ ვერ მიიღონ, რადგან ზოგიერთების მისამართი არ ვიცით, ამიტომ ვაუწყებთ ამ მამულის ყველა მონაწილეს დაესწრონ.

ვინიცობაა, ვერ დაესწრებიან, მათი ინტერესები დაცული იქნება, ე. ი ყველა მონაწილეს მიეცემა თავის ნორმა, სხვაგან, თუ სადმე ეპირება, ნორმას ვეღარ მიიღებს.

რადგანაც ეს მხარე პირველ კატეგორიათაა ცნობილი, ნორმას შეადგენს 7 დესეტინას.

სასურველია, რომ მემამულენი დაესწრონ, ვინაიდან მათ ეძლევათ უფლება საუკეთესო ნაჭრების არჩევისა.

გარდა ამისა უკვე მივიღეთ სამი სოფლის მამულები: ელისავეტოვკასი, რომანოვკასი და ალექსეევკასი, რომელიც მათ სივრცის საერთო ჯამს შეადგენს 4600 დეს.

ამ სოფლებში ცხოვრობდნენ რუსები, რომლებიც გადმომსახლებელმა მართველობამ (Переселенческое управленie) დაასახლა.

ვიდრე ეს რუსები დასახლდებოდნენ, სოფ. ელისავეტოვკას ადგილზედ სოფ. „ცოდნა" გაშენებული იყო და ზედ ჯუგანელები და იმერლები ესახლნენ, აგრეთვე ალექსეევკის მამულით სარგებლობდნენ სოფ. შრომის და კავშირის მცხოვრებლები

გადმომსახლებელ მმართველობის ძალმომრეობით მათ ჩამოართვეს ეს მამულები რუსეთისათვის. დღეს რევოლიუციის წყალობით ეს მამულები განთავისუფლდა და ზედ ესახლებიან ისევ ძველად აყრილნი ქართველები.

სასურველია აგრეთვე, რომ დასახლდნენ მათ შორის მცოდნე მეურნენი და ინტელიგენტური ძალები, ამას მოითხოვს ახლად დასახლებული ხალხი.

ეს მხარე ერთი საუკეთესო კუთხეთაგანია საქართველოში.

მიმღებ კომისიის თავმჯდომარე
**დუშიკო ფალავანდიშვილი.**
წევრი **ალ ხვიმონიშვილი,**

## საქართველოს რკინის გზის ნაციონალიზაცია*)

საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადებამ ბუნებრივად წამოაყენა საკითხი საქართველოს სახელმწიფოს დაწესებულებათა გაქართულების. სახელმწიფოებრივობის გამომხატველი და დამახასიათებელია ერთი ყველასათვის სავალდებულო ენა, რომელზედაც უნდა სწარმოებდეს საქმე სახელმწიფოს ყველა დაწესებულებაში. ამ დაწესებულებათა შორის ყველაზე რთულ და ამასთან, მნიშვნელოვანად აუცილებლად რკინის გზის უწყება უნდა ჩაითვალოს. რკინის გზა ნერვია სახელმწიფოსი, ის ნათლად მაჩვენებელია იმისა თუ რა დონემდის მიუღწევია ამა თუ იმ ერის სახელმწიფოებრივ შემოქმედებას. კარგად მოწყობილი რკინის გზის აპარატი გულისხმობს სახელმწიფო მექანიზმის სწრაფ და მიზანშეწონილ მუშაობას, დაშლილი რკინის გზა კი, გარდა იმისა, რომ მეტად მძიმე ბარგად აწვება სახელმწიფოს კისერზე, თვით ამ სახელმწიფოს საშინაო პოლიტიკის წარმოების საქმეს აძნელებს და ხშირად კატასტროფიულიც ხდება საზოგადოებრივი მშვიდობიანობისათვის რკინის გზის საქმეთა არევ-დარევა. გარდა ამისა რკინის გზას განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა იქ, სადაც სახელმწიფო საერთაშორისო დამოკიდებულების სფეროში შედის და იძულებულია აწარმოოს წესიერი ექსპორტი და იმპორტი საგარეო და საშინაო ბაზრის მოთხოვნილების მიხედვით. საქონლის წარმოება და აღებ-მიცემობა უპირველესი საშუალებაა უცხოთ თვის თავის გასაცნობად ამ. მხრივ საქართველოს რკინის გზა ყველაზე ადრე გააცნობს ჩვენს თავს ევროპიელებს. გაცნობა თავის თავად კარგი და აუცილებელიცაა, მაგრამ მას თან უნდა სდევდეს თავის თავის საერთაშორისო ღირებულების შეგნებაც. სახელმწიფოს ღირსებას, რომელიც ამ შემთხვევაში უნდა მოსჩანდეს რკინის გზის ექსპლოატაციისა და მართვაგამგეობის სისტემაში, ფრიად ამცირებს ის გარემოება, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ამ უწყებაში საქმის წარმოება რუსულად მიმდინარეობს და მმართველი ორგანოები არ შეცდილან, რომ ნაციონალიზაციის საკითხი უფრო რადიკალურად დაესვათ და მით სუვერენულ სახელმწიფოს მტრებისათვის ეგრძნობებიათ პოლიტიკურ მდგომარეობაში მომხდარ ცვლილების მნიშვნელობა.

ჯერ კიდევ მაშინ, როცა რუსეთის უდღეურმა დამფუძნებელმა კრებამ მოასწრო და აღიარა რუსეთი ფედერატიულ რესპუბლიკად. ყოფილ ამიერკავკასიის რკინის გზის სამართველოს ქართველ მოსამსახურეთა პირველმა კრებამ ერთხმად აღიარა რკინის გზის ნაციონალიზაციის აუცილებლობა მაშინ ამ მოთხოვნის წამოყენებას უკავშირებდნენ იმ გარემოებას, რომ ამიერკავკასიის ერთა სახელმწიფოებრივი ცხოვრების ჩამოყალიბება შესაძლებელი იქნებოდა ფედერაციისა ანუ კონფედერაციის ნიადაგზე. შემდეგმა ცვლილებამ ამიერკავკასიის ერთა პოლიტიკურ მდგომარეობაში შორს დასლოვა როგორც ერთი, ისე მეორე მოთხოვნაც და შესაძლებელი გახდა სამ უმთავრეს ერთაგან სამ დამოუკიდებელ სახელმწიფოს დაარსება. კერძოდ საქართველოს ამიერკავკასიის რკინის გზის საერთო სიგრძიდან, რომელიც უდრის 1750 ვერსს. წილად ხვდა 730 ვერსი, რაც შეადგენს მთელი ამიერკავკასიის რკინის გზის სიგრძის დაახლოვებით 42 პროცენტს. საქართველო დამოუკიდებლივ უდგება რკინის გზის საქმის მართვაგამგეობას. ეს გარემოება პირდაპირ მაჩვენებელია იმისა, რომ ნაციონალიზაცია უნდა მოხდეს, ვინაიდან უკეთესი პირობები ამ ზომის გატარებისათვის საქართველოს არ დაუდგება. ყველანი პრინციპიალურად მომხრენი არიან ნაციონალიზაციისა, მაგრამ ვერ მოგვიხერხებია შეგვექმნათ პრაქტიკული ნიადაგი საქმის დასაწყებადა და მოსაგვარებლად. კანტი-კუნტად გაისმის ხმა ამ ზომის გატარების სასარგებლოდ, თვითმართველობაც სდგამს პატარა ნაბიჯებს, მაგრამ ყველა ეს მხოლოდ წვეთია ზღვაში, ვინაიდან საჭიროა მთლიანი სამუშაო გეგმის შედგენა, სისტემის შექმნა, რომ ყოველი ცოცხალი ძალა გამოყენებულ იქმნას და არ გაუშვათ ხელიდან მარჯვე შემთხვევა, რათა შექმნილი მდგომარეობა საქართველოს სუვერენობის განსამტკიცებლად გამოვიყენოთ. რკინის გზათა ქართველ მოსამსახურეების კავშირის აღმასრულებელ კომიტეტმა გაითვალისწინა ეს გარემოება და გადასწყვიტა მიიქცეს გზათა სამინისტროში მოხსენებით საქართველოს რკინის გზის ნაციონალიზაციის შესახებ. სანამ საკითხის დეტალებს შევეხებოდეთ, კომიტეტს საჭიროდ მიაჩნია აღნიშნოს საერთო შეხედულება ნაციონალიზაციაზე, სახელდობრ, გამოარკვიოს თუ როგორ ფიქრობს ის ამ ზომის გატარებას რკინის გზის მეტად რთულ და საპასუხისმგებლო უწყებაში.

ნაციონალიზაცია უნდა მოხდეს ზევიდან: ეს საანბანო ჭეშმარიტებაა. სადაც არის მოთავსებული უმთავრესი გამგეობა უწყებისა, იქიდან უნდა გაისმას პირველი ხმა, ხოლო შემდეგ ეს ზომა უნდა გატარდეს ყველა ქვემდებარე, ხელქვეით ორგანოების საშუალებით მთელს სარკინიგზო დაწესებულებებში. სამინისტროდან და სამართველოდან (управленie) უნდა დაიწყოს ნაციონალიზაცია, ვინაიდან მთელი საქმის წარმოება აქ არის მოგროვილი, ხოლო ნიადაგი ბუნებრივის აუცილებლობით და თან უმტკივნეულოდ ეზიარება ამ ზომას, ვინაიდან ძველი წყობილებაში ცნობილი პოლიტიკისა გამო ლოიალური ქართულ ელემენტის მხრივ უზრუნველყოფილი არის და მას, პირიქით, შეუძლია ზედმეტი კადრი აგენტებისა გამოუგზავნოს სამართველოს, სადაც იმ თავითვე ქართველობა მოსამსახურეთა მხოლოდ 10 პროც.-ს შეადგენდა. უპირველესი ყურადღება უნდა მიექცეს ცალკე განყოფილებათა (отдельныя службы) კანცელარიების შტატის შედგენას და იქ შესაფერ ქართული ენის კარგად მცოდნე საქმის მწარმოებელთა ჩაყენებას. თუ არ შეიქმნა თვითეულ განყოფილებაში საკანცელარიო საიმედო შტაბი ქართული ენის მცოდნეების, მაშინ ადგილობრივ გატარება თუნდ საერთო ძალით მშვენივრად შედგენილით ნაციონალიზაციის პროექტისა შეუძლებელი იქნება. რასაკვირველია ეს არ ნიშნავს იმას, რომ თითქოს სხვა ნაწილებზე (отделенія ზრუნვა, გარდა კანცელარიებისა, საჭირო არ იყოს. პირიქით, უნდა გამოკვლეულ იქმნეს დაახლოვებით მაინც თუ რა ძალები გვეყოლება ჩვენ ნაციონალიზაციის გატარებისათვის სამართველოს სხვა და სხვა განყოფილებებში. ძალების გამორკვევის დროს მხედველობაში უნდა იქმნას მიღებული როგორც საერთო საქმის, ისე ქართული ენის ცოდნა. ორივე ეს დარგი ცოდნისა ერთი მეორეს უნდა ავსებდეს და იმის მიხედვით თუ სად რომელი კოჭლობს, საჭიროა მთავრობის ღონისძიება რათა შევსებულ იქმნეს ეს მოსალოდნელი ნაკლი ნაციონალიზაციის გატარებისა. ასეთ ზომებზე ჩვენ ქვევით გვექნება ლაპარაკი, ეხლა კი საჭიროდ მიგვაჩნია პირდაპირ შეუდგეთ ამ ცოდნათა სხვა და სხვა განყოფილებაში ფაქტიური მდგომარეობის გამორკვევას.

მართველობის კანცელარიაში შემადგენლობა არაქართულია. საჭიროა მთელი შტატის შედგენა. გამგის გარედან მოწვევა შეუძლებელი. ვინაიდან ასეთი პირი მოკლებული იქნება რკინის გზის სამართველოს განყოფილებათა საქმეებზე საერთო წარმოდგენას. საერთოდ სამართველოს კანცელარიის შემადგენლობას დიდი მნიშვნელობა ექნება მთელს უწყებაში ნაციონალიზაციის გატარებისათვის. ამიტომ საჭიროა განსაკუთრებული ზრუნვა და თადარიგი.

**სამექანიკო („ტიაგა") განყოფილება:** ბუხჰალტერიის გამგე და თანაშემწე არაქართველნი არიან. საჭიროა შედგენა შტატისა. უმთავრეს დეპოების გამგე ქართველი ინჟინერები მოიპოვებიან, ხოლო მცირე დეპოებში უფროსების მოვალეობას შეასრულებენ გამოცდილი ტეხნიკოსი მემანქანენი, ცეხების გამგეებსა და მათ თანამშრომელთა შორის ქართველები სრულიად არ მოიპოებიან. სტატისტიკა ქართველების მხრივ საქმისა და ქართული ენის ცოდნით უზრუნველყოფილია. დეპოების კანტორებში სუსტია ტფილისის კანტორა, დანარჩენები უზრუნველყოფილია. მთავარ სახელოსნო ბუხჰალტერიაში ნაციონალიზაციის გატარება შესაძლებელია. ხოლო კანცელიარია მოისუსტებს ამ მხრივ. საერთოდ ამ განყოფილებაში ნაციონალიზაციის გატარება შესაძლებელია იმ პირობით, რომ დაარსებულ უნდა იქმნეს კურსები ქართული ენის შესასწავლად. სპეციალისტების მოსამზადებლად. კურსები უნდა იყოს მოკლევადიანია, დაახლოვებით სამი თუ ოთხ თვიანი.

**რემონტის განყოფილება** (служба пути): გამგე და თანაშემწე არაქართველნი არიან. არაქართველნი არიან აგრეთვე: ტეხნიკური ნაწილის გამგე, ხუროთმოძღვარი და ტეხნიკოს-მხაზველები უკანასკნელნი საჭირონი არიან 7. საქმის მწარმოებელი ტეხნიკურ ნაწილისა საჭიროა ერთი. საანგარიშო ნაწილი ქართველების მხრივ საქმისა და ქართული ენის ცოდნით უზრუნველყოფილია, ასევე შეიძლება ითქვას კანცელარიის შესახებაც. გზის ნაწილის უფროსები საჭირონი არიან 8, ამათგან ქართველი მსახურებს 3, თანაშემწენი—8 (ქართ1], საქმის მწარმოებელნი—8 (ქართ. 1), მოანგარიშენი—8 (ქართ. 2) საწყობი უზრუნველყოფილია, მწერლები არიან. შენობის ზედამხედველების საკმარისი რიცხვი მოიპოება. გზის ოსტატები, უფროსი მუშები და მათი თანაშემწენი საკმარისნი არიან. იმ შემთხვევაში თუ რუსები და სხვა ეროვნებისანი არ მოისურვებენ ქართული ენის შესწავლას, გზათა ნაწილების უფროსებისა და მათ თანაშემწეების ადგილზე შეიძლება დანიშვნა, გარდა ქართველ ინჟენერებისა, აგრეთვე გზათა ტეხნიკოსებისა, რომლებიც მრავლად მოიპოებიან ლიანდაგზე. მოანგარიშეებისა და საქმის მწარმოებელთა მხრივ იქნება ნაკლებობა. პირველთა მოსამზადებლად საჭირო იქნება საანგარიშო კურსების

*) რკ. გზ. ქართ მოსამ. კავშირის საბჭოს აღმ. კომიტეტის ეს მოხსენება იბეჭდება შემოკლებით. **რედ.**

გახსნა. ხოლო ორთავეთათვის ქართულ ენაზე სავარჯიშო კურსები. მოსამსახურეების დანარჩენ ნაკლებობას შეავსებს ადერბეიჯანის გზებზე მოყრილი ქართველი აგენტები. ნაციონალიზაციის გატარება საერთოდ ამ განყოფილებაში დაბრკოლებას არ შეხვდება.

**ტელეგრაფის განყოფილება.** არაქართველნი არიან: ტელეგრაფის გამგე თან შემწე, ტეხნიკური ნაწილის გამგე, უფროსი მექანიკი, კანტროლიორ-მექანიკებში ექვსთაგან ქართველი მხოლოდ ერთია, აგრეთვე მეთვალყურეებში (надсмотрщики) 16 აგენტთაგან ქართველი სამია. ტელეგრაფის სადგურების ზედამხედველნი საჭირონი არიან სამი, ამათგან მსახურობს ქართველი 1. საჭიროებაზე მეტნი არიან უფროსი და უმცროსი ტელეგრაფისტები. საჭირონი იქნებიან: კანტროლიორ-მექანიკი 5, ამათგან ქართველი არც ერთი არ არის, მეთვალყურენი ტელეგრაფისა—23, ამათგან სამი ქართველია, ბუხჰალტერი—1 და სხვა... მწერლებად შეიძლება მოწვევა შტატს გარეშე დარჩენილ ტელეგრაფისტებისა. საერთოდ ტეხნიკური ნაწილის როგორც უფროს, ისე უმცროს აგენტებში დიდი ნაკლებობაა. ნაციონალიზაციის გატარება აქ დიდ დაბრკოლებას შეხვდება. საჭიროა დაუყონებლივ კურსების გახსნა სპეციალისტთა მოსამზადებლად. ასეთი კურსები სხვა განყოფილებათათვის ნავარაუდევ ოთხ თვეზე ცოტა უფრო ხანგრძლივი უნდა დარჩეს. მით უფრო საჭიროა კურსების გახსნა, რადგან ეს ერთად-ერთი განყოფილებაა, რომელიც საჭირო აგენტებს სხვა უწყებასა და განყოფილებაში ვერ გამოსძებნის. ფოსტა-ტელეგრაფის უწყებაში თავისუფალი მოხელენი არ მოიპოვებიან. ბუხჰალტერიისა და კანცელარიის ქართველ მოსამსახურეთათვის საჭირო იქნება ქართულ ენაში სავარჯიშო კურსები.

**მოძრაობის განყოფილება:** ნაციონალიზაცია სრულიად უზრუნველყოფილია. დაბრკოლება შეხვდება ამ ზომის გატარებას მხოლოდ ბუხჰალტერიაში, რომელსაც არც გამგე ჰყავს ქართველი და არც მახლობელი მისი თანამშრომლები არიან ქართველები. საჭიროა შტატის შექმნა.

**მატერიალური განყოფილება:** საქმის ცოდნისა და ქართული ელემენტის მხრივ ნაციონალიზაცია, უზრუნველყოფილია ხოლო საჭიროა ქართულ ენაში სავარჯიშო კურსების გახსნა.

**ბუხჰალტერია:** გამგე და თანაშემწე სუსტნი არიან როგორც საქმის, ისე ქართულ ენის ცოდნის მხრივ. ქართველების რიცხვი მეტად მცირეა (12), საჭირო კი იქნება 60-დე. თორმეტთაგან ნახევარს ექნება საშუალო ცოდნა საქმის, ენის ცოდნის მხრივ სუყველანი საერთოდ სუსტად უნდა ჩაითვალონ. საჭიროა ზრუნვა უფროს ბუხჰალტერიის გამოსაძებნად და შტატის შევსება. საანგარიშო საერთო და სპეციალური რკინის გზის კურსები აუცილებელია. ქართული ენის ცოდნის ნაკლებობა საერთოდ სამართველოსათვის მიღებულ ზომით უნდა დაკმაყოფილებულ იქნეს.

**საპენსიო კასა:** ეს განყოფილება ქართველების მხრივ მეტად სუსტია. სულ 28 მოსამსახურეთაგან ქართველი არის სამი. სომეხთაგან არის სამი კაცი ქართულის მცოდნე. სულ საჭიროა 12 აგენტი. უპირველესად უნდა მოიძებნოს საქმის მწარმოებელი და ბუხჰალტერი. საპენსიო კასა მოითხოვს განსაკუთრებულ ზრუნვას, რაც უკვე შეადგენს კომპეტენციას სამინისტროისას.

**საექიმო და სასანიტარო განყოფილება:** ამ განყოფილებაში ნაციონალიზაცია დაბრკოლებას არ შეხვდება, საჭიროა მხოლოდ ყურადღება მიექცეს უფროსი ექიმის საქმის წარმოებას და საავადმყოფოს კანცელარიას. საჭირო პირები ამ თანამდებობათვის მოიპოვებიან შტატს გარეშე და უკვე თანხმობასაც აცხადებენ იკისრონ ეს საქმე.

**ასამართლოს განყოფილება:** გამგე და თანაშემწე როგორც საერთოდ საქმის, ისე ქართული ენის ცოდნის მხრივ შესაფერისნი არიან. საქმის მწარმოებელი ქართული ენის ცოდნის მხრივ მეტად სუსტია ტომით სომეხი. საერთოდ ნაციონალიზაცია უზრუნველყოფილია.

**კომერციული განყოფილება:** ამ განყოფილებაში ძველი შტატის მიხედვით 72 აგენტთაგან მხოლოდ 8 არის ქართველი, საჭირო იქნება 30-დე. რვა ქართველი აგენტი გამგის დახმარებით მოახერხებს საქმის ცოდნის მხრივ უმთავრეს კადრის მაგიერობის გაწევას: ისინი გაწვრთნიან იმ მოხელეებს, რომლებიც ახლად იქნებიან მიღებულნი. ამ განყოფილების გაქართულება თარგმნა ცირკულიარების, ტარიფის წიგნებისა და სხვა სპეციალ საგნების ქართულ ენაზე შექმნა-შეთვისება მოითხოვს დიდს შრომას და ის სავსებით ტვირთად დააწვება ქართული ენის უცოდინარობისა გამო (აგენტები) მხოლოდ ერთ ადამიანს (გამგეს), რომელიც ამ საქმისათვის თუმცა ყოველ მხრივ გამოსადეგი და სასურველია, მაგრამ ფიზიკური შესაძლებლობის მხრივ ეს ყოვლად მოუხერხებელი იქნება. საჭიროა კომერციული განყოფილების საქმის მცოდნე პირების გამოძებნა, სადაც კი იქნებიან, და ამ მხრივ დახმარების აღმოჩენა შეეძლებათ მოძრაობის განყოფილებაში მყოფ ქართველ მოსამსახურეებს.

**შემოსავალთა განყოფილება** (служба сборовъ): ქართველები საკმარისნი არიან საპასუხისმგებლო ადგილებისათვის. ესენი შეადგენენ უმთავრეს კადრს, რომელნიც შემდეგ გაწრთვნიან დანარჩენებს დამხმარედ. საჭირო აგენტების მოწვევა შეიძლება მოძრაობის განყოფილებიდანაც. ქართული ენის მცოდნენი საკმაოდ მოიპოვებიან როგორც ქართველებში, ისე სომხებშიაც; ახალი შტატის მიხედვით ქართველობა შეადგენს 60%-ს. ნაციონალიზაცია სავსებით უზრუნველყოფილია. აქ არას ვამბობთ ნავთსადენისა (Керосинопроводъ) და სამოსწავლო განყოფილებათა შესახებ, ვინაიდან პირველი რჩება ინტერნაციონალურ დაწესებულად და გამოდის რკინის გზის უწყებიდან, ხოლო მეორე სრულიად უნდა დაექვემდებაროს განათლების სამინისტროს.

როგორც ამ ცნობებიდან სჩანს, სამართველოს სხვა და სხვა განყოფილებაში საქმის და ქართულ ენის ცოდნის ფაქტიური მდგომარეობა სანუგეშოა.

ნაციონალიზაციის გატარება რკინის გზის უწყებაში შესაძლებელია, მაგრამ ამ თავითვე უნდა აღინიშნოს ის განყოფილებანი, რომლებშიაც ამ ზომის გაყვანა ყველაზე მეტ დაბრკოლებას შეხვდება. ასეთებია: „ტიაგის", ტელეგრაფის, რემონტის განყოფილებანი, ბუხჰალტერია და კანცელარია. განსაკუთრებით უნუგეშოა მდგომარეობა ტელეგრაფისა, რომლისათვის საჭირო მოსამსახურების ვერც ფოსტა-ტელეგრაფის უწყებაში ვიშოვით. შედარებით უკეთეს პირობებშია „ტიაგის" და რემონტის განყოფილებანი, რომლებშიაც, მართალია, არის ნაკლებობა სპეციალისტ ინჟინერებისა და ტეხნიკოსებისა, მაგრამ მოკლე ვადიანი კურსების გახსნით, ან კიდევ ქართველებისაგან უფროს მოხელეთა სპეციალობის გასაცნობად მოძრავ შტატის დაარსებით შესაძლებელი იქნება ამ დაბრკოლების დაძლევაც, მით უმეტეს, რომ ქართველ საზოგადოებაში გარეშე რკინის გზის უწყებისა, მოიპოვებიან აქა-იქ სპეციალისტი ინჟინერები და ტეხნიკოსები, რომლებიც პუბლიკაციის დროს დარწმუნებული უნდა ვიყვნეთ, არ დააყოვნებენ შესაფერი თხოვნით მიიქცნენ რკინის გზის სამართველოში. ბუხჰალტერიის განყოფილებისათვის საჭიროა განსაკუთრებული ზრუნვა და თადარიგი, რომ მოეწყოს სპეციალური საანგარიშო კურსები რკინის გზის მოხელეებისათვის, ვინაიდან, საერთო საბუხჰალტერო ცოდნის გარდა, რკინის გზის ბუხჰალტერია შეიცავს სპეციალურ ხასიათის ცოდნასაც. საერთო ბუხჰალტერია სამართველოს ყველა განყოფილებაში კოჭლობს, მაგრამ იმის მიხედვით თუ როგორ იქნება დაყენებული საქმე უმთავრეს ბუხჰალტერიაში, ეს ნაკლი თანდათანობით შეივსება უმთავრეს ბუხჰალტერიის ქვემდებარე განყოფილებათა შესაფერ ნაწილებშიაც. საჭიროა ერთი საანგარიშო კურსების დაარსება სამართველოს ყველა განყოფილებათა საანგარიშო ნაწილების მოსამსახურეებისათვის. ესევე შეგვეძლო გვეთქვა ტეხნიკური ხასიათის ცოდნათა შევსებისა და შექმნის შესახებ.

„ტიაგის" და ტელეგრაფის განყოფილებანი აუცილებლად საჭიროებენ განსაკუთრებულ კურსების დაარსებას. სამართველოს კანცელარიას განსაკუთრებული მნიშვნელობა ნაციონალიზაციის გატარების დროს ექვს გარეშეა, სანიმუშო ნაბიჯებს ნაციონალიზაციის პრაქტიკულ ნიადაგზე დაყენებისას უნდა სდგამდეს სამართველოს კანცელარია. შემდეგ მას უნდა მოყვნენ განყოფილებათა კანცელარიები და ასე და ამგვარად მოხდეს სამართველოს მასშტაბით სასტიკი ცენტრალიზაცია ამ დარგში მუშაობისა და აუცილებელი კანტროლისა.

გაქართულება რკინის გზის უწყებისა წინასწარ გულისხმობს ტერმინოლოგიის შექმნას და შესაფერ სახელმძღვანელოების თარგმნას. ტერმინოლოგიის შექმნას ორგანიული ხავშირი აქვს კურსების დაარსებასთან. კურსებზე მეცადინეობა და ტერმინოლოგიის გამომუშავება სასურველია ერთ და იმავე დროს სწარმოებდეს. როდესაც ამას ვამბობთ, სახეში გვაქვს ის, რომ ქართული ენის მცოდნე ყოველთვის შეუძლებელია რომ აგრეთვე საქმის კარგი მცოდნეც იყოს.

შტატების შემოკლებას საფუძვლად უნდა დასდებოდა სახელმწიფოებრივი თვალსაზრისი, ე. ი. შენახვა უწყებაში ქართველი აგენტისადმი საერთოდ ქართული ენის მცოდნე ელემენტისა, რომელიც კი მოისურვებდა საქართველოს რესპუბლიკის ქვეშევრდომად გახდომას სამართველოს ქართველი მოსამსახურეები ძველი შტატის მიხედვით შეადგენდნენ მხოლოდ 10% საერთო რიცხვისას. ასეთ მინიმალურ რიცხვის დროს თავის თავად ცხადია, რომ ქართველების დათხოვნას სამსახურიდან შტატის შემოკლების დროს ადგილი არ უნდა ჰქონოდა. ნამდვილად კი ჩვენ ხელთ არის არა ერთი და ორი საბუთი იმისა, რომ ქართველებს ითხოვდნენ მიუხედავად მათი პოლიტიკურად საიმედობისა, შრომის უნარის და საქმის ცოდნისა. ეს გარემოება მეტად უარყოფითად ახასიათებს ნაციონალიზაციის გასატარებლად მიღებულ ზომების დროს აგრე საჭირო თანდათანობისა და ერთგვარ საერთო სახელმძღვანელო დებულების (ამ შემთხვევაში სახელმწიფოებრივი თვალსაზრისის) დაცვას. გარდა ამისა სამართველოს და განყოფილებათა ზოგიერთ აწინდელი ხელმძღვანელ-გამგეების როგორც საერთოდ საქმის, ისე ქართული ენის ცოდნა გაუმჯობესების მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებასა და თადარიგს მოითხოვს.

ზემოდ მოყვანილ მოსაზრებათა გამო და იმის მიხედვით თუ რაოდენ საჭიროა ყველა არსებულ ცოცხალ ქართულ ძალების გამოყენება, კომიტეტი რკინის გზათა ქართველ მოსამსახურეების კავშირისა მიაქცევს სამინისტროს ყურადღებას იმ გარემოებას, რომ აუცილებლად საჭიროა შეიქმნას რკინის გზის ქართველ მოსამსახურეების ერთი მთლიანი კავშირი, რომელიც მოკლებული იქნება ყოველგვარ პარტიულობას და იზრუნებს მხოლოდ უწყების გაქართულების გარშემო და ამ მეტად დიდმნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ ზომის რაც შეიძლება დაჩქარებით ცხოვრებაში გასაყვანად.

ალმასრულებელი კომიტეტი რკინის გზათა ქართველ მოსამსახურეების კავშირისა დარწმუნებულია, რომ საქართველოს რესპუბლიკის გზათა სამინისტრო შესაფერი ყურადღებით მოეკიდება ამ მოხსენებას და დაუყოვნებლივ გადადგამს ნაბიჯებს მოხსენებაში აღნიშნულ ზომათა ცხოვრებაში გასატარებლად.

## ქ. ფოთის ცხოვრება.

ქ. ფოთის ცხოვრება ისე აიწეწ-დაიწეწა, აირ-დაირია და გართულდა რომ ვერაფერს გახდა გამგეობის სამი წევრი და ქალაქი ვერ დაიცვა. ამ ბოლო ხანებში სანამ ახალი გამგეობის წევრს მოიწვევდნენ, მთელი ქალაქის ზრუნვა და მისთვის შრომა დააწვა ჭადარა, მაგრამ ენერგიულ მუშაკს მ. ესაკიას. აუარებელი ლტოლვილის დაბანაკებამ ქალაქში და განსაკუთრებით კი ნავთსადგურში, ბათომიდან თითქმის ყველა დაწესებულების გადმოტანამ, მილიციონერების თავხედობამ, მცხოვრებთა რიცხვის მომატებამ, სურსათის საქმის გამოწვევამ და სხვა მრავალმა საკითხმა გამოიწვია ქალაქის გამგეობის წევრთა რიცხვის გამრავლება ხუთამდე. ჯერჯერობით მოწვეულია გამგეობის მეოთხე წევრად პ. ქუთათელაძე; გამგეობის წევრის გ. ხოფერიას მაგიერ მოიწვიეს ა. ინწკირველი, საბჭოს განზრახული აქვს გამგეობის მეხუთე წევრად მოიწვიოს ქალაქის თავი. ვინაიდან ქალაქის უმწეო და გართულებული მდგომარეობა მოითხოვს დიდ შრომას და ენერგიას, ამისათვის გამგეობის წევრებმა თავისი სპეციალური ცოდნის მიხედვით გაინაწილეს ქალაქის შრომა. ამ ზომისათვის გამგეობის წევრებს რომ ადრე მიემართათ ქალაქისათვის შეიძლებოდა დიდი სარგებლობა მოეტანათ.

* * *

შრომის განაწილება მოხდა შემდეგ ნაირად:

I **ქალაქის თავი მოვალეობა.**

1. ქალაქის მართვა-გამგეობის საზოგადო ხელმძღვანელობა და კანტროლი 2. გამგეობის სეკრეტარიატი და კანცელარია, 3. საზოგადოებრივი მრეწველობა, 4. ნავთსადგურის საქმეები, 5. ქალაქის მილიცია და ცეცხლის მქრობელი რაზმი, 6. ქალაქის გამშვენიერებაზე ზრუნვა.

II **გამგეობის წევრის მ. ესაკიას (ს.-ფ.) მოვალეობა.**

1. სასამართლოს ნაწილი, 1. საადგილმამულო განყოფილება, 3. ბ-ნის საკითხი, 4. სამხედრო ნაწილი. 5 საამშენებლო ნაწილი, 6. ინვენტარი.

III **გამგეობის წევრის პ. ქუთათელაძის მოვალეობა.**

1. სასურსათო განყოფილება, 2. „კონკა", 3. ელექტრონის სადგური, 4. წყალსადენი, 5. სწავლა-განათლების ნაწილი.

IV **გამგეობის წევრის ა. ინწკირველის მოვალეობა.**

1. ქალაქის ფინანსები, 2. სამეურნეო ნაწილი, 3. სანიტარული და საბეითლო ნაწილი, 4. აფთიაქი, 5. სავაჭრო-სააჯახო ნაწილი, 6. შრომის განყოფილება, 7. სასაკლაო.

* * *

პირველ ყოვლისა მინდა მივ ქციო გამგების წევრის პ. ქუთათელაძემ ყურადღება იმ გარემოებამ, რომ „კონკის საქმე მეტად ცუდ მდგომარეობაშია

ამ ბოლო ხანებში „კონკის მოძრაობა ძლიერ შეფერხდა. აუარებელი ხალხი აწვება „კონკას" -კონკა კი სულ სამი დადის მთელ ქალაქში თითოში ეტევა კანონით 16 კაცი, მაგრამ მგზავრი ამას არ ჯერდება და 25, 30-მდე სჯდება ისედაც დამტვრეულს „კონკაში", ეს გარემოება დიდ უკმაყოფილებას იწვევს ხალხში და ამის გამო მგზავრსა და კანტროლიორს შორის დიდი ჩხუბია ხოლმე. თავხედი კანტროლიორი შეურაცხყოფასაც აყენებს მგზავრს. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ კანტროლიორის უგვანო საქციელს მიაქცევს ყურადღებას ბ. ქუთათელაძე. ამას გარდა, იმედი გვაქვს, რომ გამგეობის წევრი მოითხოვს ქალაქის საბჭოში „კონკის" შეძენას და ამით „კონკის" მოძრაობას მოაწესრიგებს. წინააღმდეგ შემთხვევაში ის სამი „კონკა", რომელიც დღეს მოძრაობს, ისედაც დანგრეულ-დამსხვრეული, სულ დაიმსხვრევა და ამით დიდ ზიანს მოუტანს როგორც ქალაქს, ისე მცხოვრებლებს. საჭიროა დაუყონებლივ ენერგიული ზომების მიღება.

ალ—მა.

## საჩხერის ამბები.

ივლისის 15 სამწუხარო ამბები დატრიალდა კიდევ სოფელ არგვეთსა და გორისაში. ამ დღეს არგვეთში თივის ჩამოსატანად გაიგზავნენ ცხენოსანი ჯარის კაცები ჩხარის ნაწილის მცხოვრები ქოტია კახიძე, ხონელი კაკაბაძე და ჩხარელი მიხეილ ერგემლიძე. ჯარისკაცებს თივა გამოუგზავნიათ და მცირე ხნით დასასვენებლად აუხვევიათ ს გორისაში ერთი ნაცნობისას. როგორც გადმოგვცეს, მათი მისვლა გაუგია გორის სოფლის მცხოვრებ ილია მაისურაძეს. ჩამოსულა მათთან და რომ დარწმუნებულა, რომ იგინი ჯარისკაცები იყვნენ იმავე წამში გამობრუნებულა დაუძახნია თავის ამხანაგებისთვის იქვე სოფლად ლაღად მოქეიფეთათვის დაურთიათ თოფები და იქვე მოუკლავთ ქ. კახიძე და კაკაბაძე. დაჭრილს მიხეილ ერგემლიძეს დიდხანს უბრძოლია მკვლელებთან; ბოლოს თავი დაუღწევია, ორს ვერსზე გამოქცეულა და სისხლით დაცლილი ყმაწვილი კაცი წაქცეულა. მისთვის მისაშველებლად გაგზავნილმა რაზმა დაჭრილი ერგემლიძე საჩხერის სადგურზე ჩამოიყვანა და გაისტუმრა ზესთაფონის საავადმყოფოში. გამოდევნებული მკვლელები გადამალულან. ამ გარემოებას ოსები ისე გაუმწარებია, რომ როდესაც შეუტყვიათ სოფელში მათი მოწინააღმდეგე არავინ იყო, შესევიან კურცხალიებს გამოღმა არგვეთში და საშინლად დაუწიოკებიათ. სოფელს ერთი საათის განმავლობაში ესროდნენ თურმე: გვაჩვენეთ სად დამალეთ გვარდიელები, თორემ ერთს ცოცხალს აღარ გაგიშვებთო. ს. კ—ლიას მეუღლისათვის ხელი წაუვლიათ და სდომებიათ ოსებს მისი გაუპატიურება, მაგრამ შემთხვევით გადარჩენილა.

ოსებს სდომებიათ აგრეთვე ვლად. კურცხალიას რძლისა და გასათხოვარ ქალის გატაცება, მაგრამ ესეც იღბლად უბედურებისაგან გადაურჩენიათ. ფეხშიშველნი, აწიოკებულნი, საცვლების ამარა სილიონი ა—სა, ვარდენისა და ექვთვიმე კურცხალიას ოჯახში გამოცვინულან და აღნიშნულ დღეს საღამოთი აქ სადგურზე ჩამოცვივნდნენ. უნდა გენახათ 13 პაწაწკინტელა შიშისაგან გაფითრებული აძაგძაგებული ბავში კურცხალიებისა და მაშინ დაიჯერებდით თუ როგორ კადნიერებამდის მივიდა ჩვენში მოთარეშე ოსობა და რა საშინელი მხეცური გამეტებით გვაწიოკებს იგი.

ადგილობრივ მცხოვრებთაგან მიუხედავად რაზმთა უფროსის ბ 6 იზხნელის ნდობისა ბევრნი ძლიერ ყოყმანში არიან. არ უნდათ იარაღი აიღონ ხელში და იგინიც გავიდნენ მოთარეშეთა [illegible] წინააღმდეგოდ ეს უბედურებები [illegible]: ჩვენ ეხლა რომ თოფი ხელში ავიღოთ ოს მოთარეშეთა წინააღმდეგ, ხვალ ჩვენი მეზობელი ცეცხლს მოგვიკიდებს და გადაგვწვავსო. საოცარი ის არის, რომ ამასვე იმეორებენ აქ ამ უბედურების გამო ჩამოსული ზოგიერთი ინტელიგენტები, ბრაზობენ მთავრობაზე და თვით კი ხელიც არ უნდათ გაანძრიონ საერთო საქმისათვის.

ამ ბატონებმა რითი გაამართლონ თავიანთი უქნარობა და ლაჩრობა თუ არა ასეთი უსაფუძვლო ლათაიებით. არავის ჭორებს არ მოერიდა და გმირულად იარაღი აიღო ხელში სოფელ ზოდის მცხოვრებმა ლევან ალექსანდრეს ძე გამყრელიძემ, რომელიც რევოლიუციონურ წესიერების აღდგენაში დაუფასებელ სამსახურს უწევს მთავრობის ჯარს. ბ-ნი გამყრელიძე ცნობილია ჯერ კიდევ სპარსეთის ფრონტზე საგმირო საქმეებით, რისათვისაც იგი დაჯილდოებულია ჯვრით. ჩერნოზუბოვის ოტრიადში მას ჩაბარებული ჰყოლია პარტიზანული რაზმი 60 კაცისაგან შემდგარი. როდესაც ჯულფის გზაზე თათრების თარეშის დროს რკინის გზის ლიანდაგი აჰყარეს მას მცირე რაზმით მოუხერხებია გზის შესწორება და 400-მდე სპარსეთიდან მომავალი ჩვენი მოხელე და სხვა ხალხი საშინელს ცეცხლიდან გამოუყვანია და გადაურჩენია სრულს მოსპობა-განადგურებას. უბრალო ჯარის კაცს მაგრამ სულით და გულით გმირს ლევან გამყრელიძეს დღიდან მოძრაობის დაწყებისა აუღია თოფი ხელში და რაზმთა უფროსის ნებართვით და თვისი ხელმძღვანელობით 17 კაცისაგან შემდგარი რაზმი შეუდგენია. ჯერ კიდევ ივნისის 30, 1 და ივლისის 2 ბ-ნს გამყრელიძეს დიდი შემწეობა აღმოუჩენია ბ-ნ იზხნელის რაზმისათვის, როდესაც სარეკის ბოლოზე მის ბატარეიას თავს დასცემიან მოთარეშენი და ლამობდნენ თურმე ორის ზარბაზნის წართმევასა და რაზმის ერთის ნაწილის ხელში ჩაგდებას. ამ სანაქებო ვაჟკაცობისათვის ბ-ნს იზხნელს ჯარისკაცი ბ-ნი გამყრელიძე დარკვეთის სადგურის კომენდანტად დაუნიშნავს და დაუვალებია საჩხერემდე რკინის გზის დაცვა. ივლისის 1—2-ს ბ-ნ საყვარელიძეს ბჟინევის ტყიდან დიდძალი მოთარეშე დასცემია თავზე და მოუნდომებია დარკვეთის ხიდის დაწვა-დანგრევა. 17 კაცის ამარა გამყრელიძეს შეუტევია მოზღვავებულ მოთარეშეთათვის ისე გმირულად, რომ ბრბო, რომელიც მას ესროდა ტყვიის სეტყვასავით, გაუფანტავს. 25 კაცი დაუჭრია და 9 კაცი მოუკლავს. მოკლულთაგან 4 ოსი აღმოჩენილა. ბ-ნ გამყრელიძის რაზმიდან ამ დღეს ერთიც არ დაჭრილა. მეორე დღეს ბჟინევის გზაზე ნიშნები უნახავთ, რომ დაჭრილებს ბინტები რომ არ ჰქონიათ საცვლები დაეხიათ ჭრილობათა შესახვევად. ამ გვარისავე სიყოჩაღით ლევანი მიეშველა ივლისის 6—7-ს ყიფიანის რაზმს, 4 მოთარეშე მოჰკლა და მისი დახმარებით 13-მდე იქმნა დაპატიმრებული. ასეთმა საქმიანობამ სახელი მოუპოვა ბ-ნს გამყრელიძეს და მისი რაზმი 17 კაციდან 80 კაცამდე გაიზარდა. ივლისის 4—5-ს ბ-ნ გამყრელიძე გავიდა თავის რაზმით, ჩამოიარა სოფლები წირქვალი, ითხვისი, დარკვეთი და 300-მდე იარაღი აჰყარა ხალხს და წარუდგინა რაზმის უფროსს. ივლისის 5-ს სოფელ სხვიტორში ლევანისავე რაზმმა ჩიხურის პირზე შეუტია ოსების ძლიერს რაზმს 5 ოსი მოჰკლა, 3 დაატყვევა და დანარჩენთ კუდით ქვა ასროლინა. ს. კაცხასა და მის მიდამო სოფლებში ერთს დღეს მობილიზაცია მოახდინა და ივლისის 13-ს საჩხერეში რაზმის უფროსს 90 ჯარისკაცი წარუდგინა.

სოფელ ხრეითსა, ვაჭევსა და ქვაციხისაკენ ყაჩაღთ გავარდნილთა სეფე ბაზლაძისა და ჩიხლაძის მეთაურობით 60-მდე თავზე ხელაღებული საქართველოს მტერი თარეშობდა. ესენი არიან ნატრულნი იმ ბოლშევიკე ავაზაკებისა, რომელნიც ამას წინად ხრესილზე იქმნენ დამარცხებულნი და გაფანტულნი. აქ არიან თავზე ხელაღებულნი მცხოვრებნი ს. ვაჭევისა, რცხილათისა და ხრეითისა. ამბობენ ამ ბრბოს ახლო კავშირი უნდა ჰქონდეს ამ დღეებში სოფელ ქვაციხეში მომხდარ უბედურებასთან. აღნიშნულ სოფლის მცხოვრებ კოწია ჟღენტს თავს დასცემიან და მოუნდომებიათ მისი აკლება. ჟღენტი შებრძოლებია ავაზაკებს ერთი მოუკლავს და ერთი დაუჭრია. შემდეგ იგი დაუძლევიათ, შესცვივნიან, მოუკლავთ თვით კოწია ჟღენტი და სასიკვდილოდ დაუჭრიათ მისი გასათხოვარი ქალიშვილი. ლევან გამყრელიძეს დაევალა ამ

ბრბოს ლიკვიდაცია; ივლისის 14—15 წავიდა იგი თავისი რაზმით და სოფელ ხრეითში შეუტია. ავაზაკებმა სამწუხაროდ თავი დააძვრინეს გამოცდილ მხედრის კლანჭებს და იგინი რაჭისაკენ წასულან და გადაცვივნულან. სოფ. ვაჭევიდან გამყრელიძეს გაქცეულ ჯარისკაცთა მამები დაუპატიმრებია და ჩამოიყვანა. ბ-ნ ლევან გამყრელიძის რაზმიდან საგმირო საქმეებისათვის კაპ. ბ-ნმა იმხნელმა ჯვრებით დააჯილდოვა გრიგოლ გამყრელიძე, კოსტა გალენიძე (ბერძენი), ბორის გამყრელიძე; ვლადიმერ მასხარაშვილი და სერგო ბარათაშვილი. ბ-ნს იმხნელს გადაწყვეტილი აქვს ნაყოფიერი მუშაობისათვის და თავგანწირულ მოღვაწეობისათვის ლევან გამყრელიძე პირველ ჩინზე პროპორშჩიკობაზე წარუდგინოს სათანადო მთავრობას. სიმართლე მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ საჩხერის მიდამო დიდ სოფლებს პატარა ივანწმინდის მცხოვრებ ქავთარაძეებმა აჯობეს გაბედულებასა და საერთო მამულის დაცვის შეგნების საქმეში. მაშინ როდესაც სხვები მოკუნტულან ივანწმინდიდან ლევან გამყრელიძის რაზმს ათამდე ახალგაზრდა ქავთარაძეები შეუერთდა შეუწყოს ხელი რევოლიუციონურ წესიერების აღდგენის საქმეს და მუყაითადაც საქმობენ ეს მოხალისენი.

დღეს, ივლისის 6°საჩხერის რაზმი დაიყო რამდენიმე დარგად და გავიდა შორეულს სოფლებისაკენ მოთარეშეთა ბინებისა და რაოდენობის დასაზვერავად. ივლისის 17-დან განზრახულია საერთო შეტევა და ვნახოთ კურდღლებსავით მშიშარა და გველებსავით სოროებში შემძვრალნი მოთარეშენი როგორ გაგვიძლებენ.

ქაქუჩელა.

## დიმიტრი [მიტო] გულისაშვილის

### ხსოვნას

გაზეთებიდან გავიგე რომ ოსმალოებთან ბრძოლის დროს დასჭრეს დიმიტრი გულისაშილი, სამწუხარო იყო ამისი გაგება მაგრამ იმედი მაინც იყო, რომ დაჭრილია და მორჩება, მაგრამ იმედი არ გამართლდა, იმავე გაზეთებიდან გავიგე რომ ის ეხლა გარდაიცვალა.

რევოლიუციის პირველ დღეებში მე ბევრი ამხანაგ მეგობარი გავიცანი სარაყამიშ-აზრუმში, რუსებთან ცხრა თვეს ვმუშაობდი რევოლიუციონურ ორგანიზაციებში, აქ მე გავეცანი დიმიტრი გულისაშვილს. მიუხედავად იმისა რომ ჩემი და მისი პარტიული მიმართულება სხვა იყო, მაინც ჩემი ყურადღება მიიპყრო. სრულიად ახალგაზრდა გონებით ფხიზელი, დინჯი, და მუყაითი, ნამდვილი რევოლიციონერი ავინი იყო დიმიტრი გულისაშვილი. მახსოვს ჩვენ ერთად მოვხვდით ერთ-ერთ კომისიაში მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოში. ჩვენი მუშაობა ერთ თვეს გაგრძელდა. ამ მუშაობაში დავრწმუნდი რომ ეს ადამიანი ნამდვილი ხალხის მეგობარი იყო, ნამდვილი ხალხის შვილი, ის არ იყო ვიწრო პარტიულ ქინიანობთ გაჟღენთილი, მისი მიზანი იყო ერთი—დემოკრატიის გამარჯვება. ასეთის წევრიდ დიახაც უნდა ამაყობდეს ის პარტია რომელსაც ის ეკუთნოდა. ასეთი კაცის დაკარგვა სწორედ რომ სამწუხაროა.

სარაყამიშიდან წამოსვლის შემდეგ ჩვენ იქ მომუშავე ამხანაგები და მეგობრები დავიფანტეთ. ძლიერ მაინტერესებდა და მაინტერესებს სად არიან ისინი. მაინტერესებდი შენც მეგობარო დიმიტრი, მაგრამ სამწუხაროდ გავიგე მეტად მწვავე ამბავი. არ მინდოდა შევრიგებოდი ამას, მაგრამ რა ვქნა რომ სინამდვილეა. არ მქონდა საშუალება შენი გაცივებული ცქრიალა სახე მენახა მაინც უკანასკნელად; ერთად ერთი საშუალება ჩემთვის ისაა, რომ თქვენ პარტიული გაზეთის შემწეობით სავსებით გავიზიარო შენი მშობლების ტოლ-ამხანაგების და პარტიის მწუხარება. შორიდან ვეამბორები შენს წმინდა საფლავს. განისვენე მეგობარო ხანმოკლე და ეკლიანი იყო შენი გზა, მაგრამ ის იყო ნაყოფიერი, ჩემს გულშიც ისეთი დაუვიწყარი იქნება შენი ხსოვნა მეგობარო დიმიტრი როგორც შენს პარტიულ ამხანაგებში. მშვიდობით მეგობარო.

ვასო გ. აბაშიძე.

## საქართველოს რესპუბლიკის

### დაწესებულებების მოხელეთა საყურადღებოდ.

მთავრობა, თუმცა ფრთხილად და თანდათანობით ნაციონალიზაციის განხორციელებას უკვე შეუდგა ზოგიერთ დაწესებულებაში, მაგრამ ჩვენ დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ დაწესებულებებს, სადაც ჯერჯერობით სრულებითაც გაეროვნების შუქს არ შეუშუქებია და მომეტებულ ნაწილს რუსი მოხელეები შეადგენენ.

ამ წინაზედაც ვსწერდით რომ საჭიროა ჩვენი სახელმწიფოს გაწმენდა მავნე ელემენტებისაგან, რომ საჭიროა სასტიკი მართველობა, მაგრამ საქმე ისევ ძველებურად მიმდინარეობს.

ზოგიერთი ელემენტები გვიკიჟინებენ: „ეხლავე, რომ მოვახდინოთ ნაციონალიზაცია და რუსი მოხელეები დავითხოვოთ ამით ჩვენ სახელმწიფოს ზარალის მეტს არას მოუტანთო".

მინდა მოვახსენო ამხანაგებს, რომ ის დაწესებულება, სადაც მეტ ნაწილს შეადგენენ რუსი მოხელეები, სწორედ უფრო მოკლებულია მუშაობას და აქ ყოველ მხრივ შეჩერებულია საქმის წარმოება. მეტი წილი რუსის მოხელეების, სულ ტყუილა უბრალოდ დაიარება სამსახურში და ერთმანეთში პროვაკაციონური ლაპარაკის და ჩაის სმის მეტს არას არიგებს. იმის დამიუხედავად რომ წესით ხუთი საათი გამუდმებით უნდა იმუშაონ, ისინი ნახევარ საათსაც არ მუშაობენ. ბევრჯერ მინახავს, რომ რუს მოხელეებს გაცხარებული მუშაობის დროს მაგიდასთან მჯდომთ ტკბილად ეძინოთ და გასართობ სიზმრებში იყვნენ გართულნი. არიან ისეთი ბოროტ განზრახველებიც, რომელნიც აპირებენ გამგზავრებას უცხო სახელმწიფოში, ყოველ მხრივ სცდილობენ, რომ დაჰლუპონ და დააქციონ ჩვენი დაწესებულებები, ბევრჯერ მომხდარა რომ ვისაც კი დაუღწევია სამსახურისთვის თავი და წასულა საქართველოდან, თან ბევრი ისეთი საჭირო საქმე და საკანონო წიგნი წაუღია ან დაუხევია და დაუწვია ურომლისოდაც საქმის წარმოება შეჩერებულია.

და აი ამისათვის, რომ ჩვენი სახელმწიფო არ იღუპებოდეს და არ განიცდიდეს ყოველ მხრივ დაქცევას და ზარალს, უსათუოდ საჭიროა; ყოველ ქართველმა მოხელემ მიაქციოს დიდი ყურადღება და დაიჭიროს თვალ ყური ამ ბოროტ-განზრახველებზე; ყოველ დაწესებულებას და ყოველ საქმეს სათავეში უნდა ჩაუდგეს სანდო ქართველი მოხელე, და ეხლავე დაარსდეს ქართული ეროვნული კომიტეტები, რომ ამისთანა ელემენტებს თვალ ყური ადევნონ.

არჩილ კორინთელი.

## სიღნაღის მასწავლებლების კრება

მასწავლებელთა კავშირის სიღნაღის ფილიალური განყოფილება, იწვევს ივლისის 28 (ახალი სტილით) დილის 10 საათზე ქ. სიღნაღში, მაზრის მასწავლებელთა საზოგადო კრებას, ფრიად საჭირო საკითხების განსახილველად. გატყობინებთ რა ამას, უეჭველად უნდა დაესწროთ ხსენებულ კრებას, თან მასალა უნდა შეაგროვოთ და დამზადებული პასუხი წამოიღოთ შემდეგ კითხვებზედ:

1) დიდი არის თუ არა, მცხოვრებთა რაოდენობის მიხედვით, სოფელი სადაც თქვენ მასწავლებლობთ?

2) რამდენი სასწავლებელი არის თქვენს სოფელში და რა ტიპისა?

3) საკუთარი შენობა აქვს სასწავლებელს თუ დაქირავებული?

4) ჰყოფნის თუ არა არსებული სასწავლებელი სოფელს?

5) თუ არ ჰყოფნის დაახლოვებით რამდენი ბავშვი რჩება სასწავლებლის გარეშე?

6) სასურველია თუ არა გაიხსნას თქვენ სოფელში სხვა სასწავლებელი და რა ტიპისა?

7) რა დახმარებას აღმოუჩენს სოფელი ახლად გახსნილ სასწავლებელს (ფულით, ინვენტარით, შენობით თუ სხვ.)

8) არის თუ არა თქვენ მეზობლად სოფელი, სადაც სასწავლებელი სულაც არ არსებობს?

9) რომელი სოფლის სასწავლებელში დაიარებიან ამ სოფლის ბავშვები?

10) სასურველი არის თუ არა გაიხნას ამგვარ სოფელში სასწავლებელი და რა ტიპისა?

11) რა დახმარებას აღმოუჩენს სოფელი ახლად გახსნილ სასწავლებელს?

12) რამდენი ბავშვი სწავლობდა თქვენს სასწავლებელში გასულ სასწავლო წელში კანყოფილების მიხედვით?

13) იტევდა თუ არა თქვენი სასწავლებელი მსურველებს და თუ არ იტევდა რამდენი ბავშვი რჩებოდა სასწავლებლის გარეშე?

14) რა ნაყოფი გამოიღო ნაციონალიზაციამ და ხომ არ გიძნელდებათ ქართულად სწავლა ან თქვენ ან ბავშვებს?

15) თუ გიძნელდებათ, რათ?

16) მაზრის რომელ ცენტრებში სასურველია გაიხსნას, თქვენის აზრით, პირველ დაწყებითი უმაღლესი სასწავლებელი?

თუ რაიმე მიზეზით კრებას ვერ დაესწრებით ამ კითხვებზე პასუხი უნდა გამოგზავნოთ არა უგვიანეს ივლისის 25.

## წერილი ალბულახიდან

### (საგუბერნიო ადმინისტრაციის საყურადღებოდ)

მას შემდეგ, რაც ჩვენს სამშობლოში ანარქიამ იჩინა თავი, ს. ალბულახი (ბელი კლუჩი) ყველასაგან მივიწყებული, მიუხედავად იმისა, რომ ხულიგანების თარეშს ფართედ აქვს აქ ფესვები გადგმული, ამ მივიწყებულ კუთხეს არავინ ყურადღებას არ აქცევს.

მოისმინეთ ფაქტები.

ამა წლის იანვრის 20 გარშემო მდებარე სომხური სოფლების მცხოვრებლებმა დაეცნენ მექვსე ქართული პოლკის იარაღის საწყობს და ამ შეიარაღებული თავდასხმის შედეგი აგეთი იყო: გასტეხეს საწყობი, გაიტაცეს თოფები და ტყვიები; შემდეგ დღეებში მოაწყდა ალბულახს აყარებული ხალხი და თუ რაიმე დარჩა კიდევ საწყობში სულ წაიღო; წაღებულია 1500 სხვა და სხვა სისტემის თოფები და ნახევარ მილიონამდე ტყვია. მიუხედავად იმისა, რომ ეს იყო შეიარაღებული თავდასხმა ჩვენი ეროვნული საგანძურის გასატაცებლად, რაც უკვე ფაქტია, მიუხედავად იმისა, რომ ამის გამო ემუდარებოდა მუდამ მთავრობას მეექვსე პოლკის შტაბი-რომ რაიმე ზომები მიეღოთ, დღემდე ვერ ველირსეთ უბრალო საგამომძებლიო კომისიის მოსვლასაც, რომელიც ბევრ მეთაურის და პროვოკატორს აღმოაჩენდა. ამით გათამამებულნი ადგილობრივი მცხოვრებნი (უმეტესობა რუსები) იანვრიდან დაწყებული დღევანდლამდე მოსვენებას არ აძლევდნენ პოლკის სხვა და სხვა საწყობებს. ყველანი შეიარაღებულნი არიან ბავშვიდან დაწყებული მოხუცებულებამდე მეექვსე პოლკიდან გატაცებული თოფებით და იმდენად გათამამებულნი, რომ შუადღისას ურმებით მიადგებოდნენ ხოლმე საწყობებს და ისე ეზიდებოდნენ ყველაფერს; აღარ დასტოვეს არაფერი კედლების გარდა, მაგრამ დღევანდლამდე პასუხი არავის უგია, რადგან ალბულახი ყველასაგან მივიწყებულია.

მას შემდეგ, რაც გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა, ადგილობრივ მცხოვრებლებს, რომლებსაც დღეც და ღამეც ხან ნიკოლოზი ესიზმრებათ ტახტზედ ასული და ხან ალექსი—მოსვენება დაეკარგათ მათი პროვოკაცია, მათი ხულიგანობა და ჩვენზე დაცინვა კაცს გულს უკლავს, მაგრამ არ არის არავის ყურადღება აქეთკენ მოქცეული, რომ ეს თავგასული ვაჟბატონები სათანადოდ ალაგმოს. ჩვენი უბედურება ის არის, რომ სანამ ფაქტად არ იქცევა ის, რაც მოხდა საჩხერეში, ლეჩხუმში, ცხინვალში, სოხუმში და დუშეთში, მანამდე ყურს არ ვიბერტყთ და უცდით მხოლოდ იმ დროს—როდის მოგვიხდება არტილერიის და ჯავშნოსანი მატარებელ-ავტომობილების გაგზავნა.

18 ამ თვეს ალბულახში იგეთი ამბავი მოხდა: ადგილობრივმა კომისარმა გამოაცხადა, რომ ჩაებარებინათ მისთვის მეექვსე პოლკიდან გატაცებული თოფები; თანაც მოახდინა ჩხრეკა გატაცებული ნივთების აღმოსაჩენად. ხულიგანებმა (რუსებმა) შეურაცხყოფილად იცნეს თავი: როგორ გაბედა ვიღაცა კომისარმა—რაღაც „Кукурузная республики"-ს წარმომადგენელმა და ჩვენ-რუსებს—ეს გვკადრაო; დღის 12 საათზე, დახლოვებით, შემოერტყა ადგილობრივ კომისარიატს გარს, სადაც იმ დროს იყო კომისარი და რამდენიმე მილიციონერი. 60—70 კაცამდე ვინტოვკებით შეიარაღებული და „ზალპებით" აუტეხა სროლა სადგომს; მოახდინეს შეიარაღებული თავდასხმა საქართველოს რესპუბლიკის დაწესებულებაზე—ადგილობრივ კომისარიატზე. კომისარი მსუბუქად დასჭრეს ხელის თითებში, მაგრამ რადგან მას თითქმის არავითარი ძალა არ ჰყავდა—პასუხი არ გაუცია. თავდასხმის დროს გაიგონებდით ბევრს ქათინაურებს მათი მხრით იძახდნენ, რომ ისინი აჩვენებენ სეირს ვიღაც ქართველების, რაღაც რესპუბლიკას, გაუმასპინძლდებიან იმათ, ვინც მათ იარაღს მოთხოვს, იმ იარაღს, რომელიც რუსების მოტანილია აქ და სხვა. დაცემის დროს გაიტაცეს ხელახლა ის თოფები, რომლებიც შეკრებილი ქონდა კომისარს. გზაში არ უშვებდნენ ქართველ ოფიცრებს ისე, რომ რაიმე შეურაცხმყოფელი სიტყვა არ მიერთმიათ საჩუქრად; ეძახდნენ ოფიცრებს: გაჩვენებთ, როგორი მსროლელები ხართო და სხვა.

ეს მოხდა 18 ამ თვეს და დაიხსოვენით რომ ეს არის დასაწყისი დიდი დრამისა, რომლის სალიკვიდაციოთ ჩვენს მთავრობას დასჭირდება დიდი დრო და დიდი დიდი მსხვერპლი შემდეგში თუ დროზე არ მოუღო ბოლო აქაურ პროვოკატორებს. აქ არიან ოფიცრები—რუსები, რომლებიც დარჩნენ 218 სათადარიგო პოლკის დაშლის შემდეგ და რომლებისთვისაც არ არსებობს დღეს არავითარი მთავრობა; ესენი სასტიკი მტრები არიან გულით და სულით ჩვენი რესპუბლიკისა და ბევრი მათგანი სასტიკ პროვოკაციას ეწევიან ხალხში: ეუბნებიან ხალხს, რომ არავის იარაღი არ ჩააბარონ, თორემ მერე მათ დაჰხოცავენ. საჭიროა ამ უსაქმო პროვოკატორების აქედან გაძევება თორემ ხიფათი მოსალოდნელია.

ადგილობრივი რუსები შუამდგომლობას აღძრავენ ხოლმე რუსულ ეროვნულ საბჭოს წინაშე დაიცვან იგინი თათრების და თავდასხმიდან და იარაღი დაუტოვონ მათ. არავითარი თავდასხმა მათზე არ ყოფილა და არც არავინ ფიქრობს, პირიქით, ისინი არიან რუსეთიდან გადმოსახლებულნი კატორღელები და თვითონ აყენებენ ზიანს მეზობლებს. ვიმეორებ, თუ 18 ამ თვის გამოსვლამ უყურადღებოდ ჩაიარა და სათანადო ყურადღება არ მიექცა, მომავალში ვინანებთ, ბევრ მსხვერპლს შევსწირავთ და დუშეთ-ცხინვალის ექსპედიცია დაგვჭირდება. მიაქციეთ ყურადღება ჩემს სიტყვებს და დაუყოვნებლივ დასაჯეთ ულმობელად პროვოკატორები; ახადეთ იარაღი ყველას ყოვლის მიზეზების გარეშე და იხსენით ეს კუთხე ანარქიისაგან თავის დროზე, სანამ ამისათვის მსხვერპლი არ არის საჭირო.

მე, მშობელი რესპუბლიკის ერთგული დარაჯი, ვიხდი ჩემს მოვალეობას და სიტყვა ეკუთვნის ადმინისტრაციას.

ხრეითელი.

## მშობლების საყურადღებოდ

ვაცხადებ იმ ჯარისკაცების მშობლების საყურადღებოდ, რომლის შვილები, ან სხვა ვინმე მსახურებდა ტფილისის მფრინავ რაზმში პოლკოვნიკ ხარაძის მეთაურობით, პირველ და მესამე ასეულში და აგრეთვე შემდეგი არტილერისტები 1. ჩიქოვანი დიმიტრი, 2. ჯანდიერი გიორგი, 3. შათირიშვილი ალექსანდრე, 4. მახარაძე გ 5. თევდორაძე ვასილი, 6. ხინდიბიძე გ., 7. ირემაშვილი ვასილი, 8. ჩიქვაიძე გაბრიელ და 9, არჩვაძე ტყვედ იმყოფებიან ბოლშევიკებთან ქ. კავკავში. საშიში არაფერია, მათ ამ დღეებში კიდეც გაანთავისუფლებენ.

ტყვეების მონდობილობით, ტყვეობიდან დაბრუნებული

პ. ჩხიკვაძე.

## წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ თქვენი პატივცემული გაზეთის ფურცლებზე მადლობა გამოუცხადო ყველა იმ პირთ, ვინც დახმარება და თანაგრძნობა აღმომიჩინა ჩემი ძვირფასი ერთად-ერთი შვილის შალიკო ვაშაძის სოფ. ვაშნარიდან ჩამოსვენებისა და დასაფლავების დროს.

პატივისცემით: სოფიო ვაშაძისა.

ქუთაისი.

გამომცემელი
სამსონ ფირცხალავა
რწმუნებული მთავარ კომიტეტისა.

**დაიკარგა** ივლისის 23-ს, საღამოს ბარონის ქუჩაზე „ლასკუტის" სასტუმროს კიბესთან შეკრული ქაღალდები, მიწერილი ბანკზე დიმიტრი დონიკეს ძე ანდრონიკოვის სახელზე; მპოვნელს ვთხოვ დამიბრუნოს ქაღალდები და გადმომცეს „ლასკუტის" სასტუმროში № 7, რაშიაც მიიღებს საჩუქარს. 781 დიმიტრი ანდრონიკოვი.

**ექიმი** ი. დ. ჯაფარიძე შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი ავადმყოფებს მიიღებს დილით 11—1 ს საღამოს 5—7 ს მადათოვის ქ. № 7 ტელეფონი 17-49. 1153

**ექიმი** კბილისა ვ. ი. ჭიჭინაძის კაბინეთი ავადმყოფებს ღებულობენ კბილის ექიმები: ვ. . ჭიჭინაძე, ვ. დ. მირიანაშვილი და ს. ი. ჩარკვიანი 9—2 და 5—7 მდე. მიხეილის პროსპ. 78. 591

**ექიმი** გ. მ. მუხაძე კოჯორში მიემგზავრა და აქ ავადმყოფების მიღება 1 აგვისტომდე შეწყვეტილია 1030

**ექიმი** ე. ლ. შალამბერიძე იღებს საბებიო და საშვილოსნოს ავადმყოფთ, საღამოს 5—7 ს. მისამართი ვერონოგრადის ქ. № 7. 1027

**ექიმი** დ. შარაშანიძე იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშთა სნეულებიან ავადმყოფთ დილის 11—2 ს., საღამოთი 5—8 საათამდე. პავლოვის ქუჩა, № 7. 2130

**ექიმი** ი. ი. ბერიშვილი დაბრუნდა და განაახლა მიღება ვენერიული, შარდე ორგანოების, სიფილისის (შეშხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფობისა. დილით 9—12 ს. და საღამოთი 5—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მიხაილოვის შესახვევი სასტუმრო „ნოეს" პირდაპირ № 8. 450

**ექიმი** პ. მუსხელიშვილი იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 საათ. ყორღანოვის ქ. № 6.

**ექიმი** კბილისა კონსტანტინე არდაზიანი განაახლა ავადმყოფების მიღება 11—2 საათამდის. მელიქოვის ქუჩა № 11 ექიმი არდაზიანის ბინა. 1219

**ექიმი** ნ. ი. მახვილაძე იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5—7 ს. ელექტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი მოსკოვის ქ. № 11. 426

**ექიმი** ქ. ტყეშელაშვილი ღებულობს ავადმყოფებს ვენერიული, საშარდე და სასქესო მილის სნეულებანი, სიფილისი (606 და 914) შეშხაპუნება). საღამოობით $5^{1}/_{2}$—7 საათ. ყოველ დღე გარდა კვირისა კერძო სამკურნალო მიხაილოვის პროსპექტი № 167. 200

**ექიმი** დ ვ. ჯაჯანიშვილი იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, ყოველ დღე, კვირის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, გუნ ბის ქუჩა, № 41. ტელეფ. 14—09. 1032

**ექიმი** პავლე არდაზიანი დაბრუნდა. იღებს ბავშვთა და შინაგან ავადმყოფთ, დილის 8—9 ს. და საღ. 4—6 ს. მელიქოვის ქ. 12, 9 უბანი. 1002

**ექიმი** შ. ა. მიქელაძე მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 117.

**კერძო მიხეილის სამკურნალო მუდმივი ლოგინებით.**

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 10 საათიდან. მიხეილის პროსპექტი, 167. 747

**მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა ნ. ლ. ტურიაშვილი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 12—2 შუადღ. და 4—7 საღ. შინაგანი, ბავშვებისა, საბებიო და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა № 7. სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით. 624

**თვალის სამკურნალო მუდმივი საწოლით ექიმ ლონხინისა**

რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ასისტენტად იყო ვენასა და პარიზში თვალის კლინიკებში. თვალით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპ. № 141 (აპოლლოს კინო-თეატრის მახლობლად). მძიმე და საოპერაციო ავადმყოფები სრული პანსიონითაც მიიღებიან. 620

**ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო**

(დაარსებულია 1880 წელს)

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ. ყოველ დღე (გარდა კვირისა) დილით: „606" და „914" 11—12 ს.

ბ. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმყ.)

ე. ი. მაშნერი: 9—10 ს. ქალებისა და საშარდისა.

ბ. გ. გგახაროვი: $9^{1}/_{2}$—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

ავეტისიანი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს $11^{1}/_{2}$ ს.

მ. მ. ბენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.

ხ. გ. ავეტისიანი—9—11 საკუთრივ ბავშვთა ავადმყ.

ი. ი. ტერ-გრიგორიანცი. 1—2 ს. შინაგანი.

საღამოთი:

ა. ნ. ისაკიანი: 6—7 ს. ქალური ავადმყოფობანი და ქირურგიული.

რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნავასარდიანი. 1019

**საჯარო ვაჭრობა**

ტფილისის ქალაქის გამგეობა იუწყება, რომ პარასკევს, ივლისის 26 დღის 12 საათზე, გამგეობის თანადასწრებით მოჰხდება საჯარო ვაჭროება იჯარით გაცემისათვის 1) დესამონოვის მოედნის საქალაქო სასწორიდან ხარკის აკრებისა და 2) პუშკინისეულ ბაღში „საბუდკო" ადგილისა.

კონდიციები და ყველა ცნობა შეიძლება მიიღონ ქალ. გამგეობის საიჯარო საადგილმამულო ნაწილის კანცარიაში მუშაობის დროს. 1250

სტამბა „სახალხო საქმე", ტფილისი. ბარონის ქ. № 14.